კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

მონიკა შენგელია

ისრაელ-ირანის ურთიერთობის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონული უსაფრთხოების სტაბილურობაზე და მისი გეოსტრატეგიული ფაქტორები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

თბილისი - 2020

ანოტაცია

ირანისა და ისრაელის ურთიერთობები ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე სერიოზულ გავლენას ახდენდა რეგიონულ პოლიტიკაზე. ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ორ რადიკალურად განსხვავებულ პერიოდად იყოფა.

ურთიერთობის პირელი ეტაპი მათ შორის მჭიდრო პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობებით გამოირჩეოდა იმ ფონზე, როდესაც მუსლიმური ქვეყნები უარს ამბობდენ ისრაელის სახელმწიფოს აღიარებაზე. რაც შეეხება ამ ორ ქვეყანს შორის ურთიერთობის მეორე ეტაპს, რომელიც უკავშირდება ისლამურ რევოლუციას, ის გამოირჩევა მათ შორის მწვავედ დაპირისპირებული მდგომარეობით .

ეს ქვეყნები ერთმანეთს მტრებად და მეტოქეებად აღიქვამენ. აქვე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად დაპირისპირების მაღალი დონისა ისრაელი და ირანი მეტკანლებად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ რაღაც გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებას. განსაკუთრებით ეს ორი ქვეყანა ირანის ბირთული პროგრამის გამო უპირისპირდება ერთმანეთს. ისრალის სურვილს წარმოადგენს ბირთვული იარაღის არ მოხვედრა ირანის ხელში, რომელსაც როგორც ფიქრობს პირველ რიგში მის წინააღმდეგ გამოიყენებს. ირანი კი ისრაელს მისი რეგიონული ლიდერობისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად აღიქვამს. ისრალისათვის მიუღებელი აღმოჩნა ირანთან ბირთვული შეთანხემბის მიღწევა, ამ ქვეყანასა და ექვს სახელმწიფოს შორის. ის მკაცრად აკრიტიკებდა აღნიშნულ შეთანხმებას და გამოდიოდა მისი გადახედვის ინიციატივით.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული შეთანხმებიდან ჯერ აშშ შემდეგ კი ირანი გამოვიდა, ირანი ამ ფაქტს დიდი კმაყოფილებით შეხვდა და აცხადებს , რომ ირანზე უნდა მოხდეს კიდევ უფრო მკაცრი ზეწოლა, რათა მან საბოლოოდ უარი თქვას ბირთული პროგრამის შექმნასა და მუშაობაზე.

Annotation

Israel-Iran Relations Impact on Middle East Regional Security Stability and Its Geostrategic Factors

Relations between Iran and Israel have had a serious impact on regional policy since the restoration of Israeli statehood. Relations between these countries are divided into two radically different periods.

The first phase of relations between them was marked by close political and diplomatic relations against the background of Muslim countries refusing to recognize the state of Israel. As for the second phase of relations between the two countries, being related to the Islamic Revolution, is characterized by a sharply opposite situation between them.

These countries perceive each other as enemies and rivals. It is noteworthy, that despite the high level of controversy, Israel and Iran were more or less able to agree on certain issues. In particular, the two countries are at odds over Iran's nuclear program. Israel wants to keep nuclear weapons out of Iran's hands, because Israel thinks that firstly it will be used against this country. Iran perceives Israel as one of the impediments to its regional leadership. It has become unacceptable for Israel to reach a nuclear deal with Iran, between this country and the six states. He strongly criticized the agreement and took the initiative to reconsider it.

When the United States first left this agreement, which was followed by Iran, Iran faced this fact with a great satisfaction, and still says that it needs to put even more pressure on Iran to abandon its nuclear program.

Monika Shengelia

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation..... 3

შესავალი 5

I თავი. ისრაელის სახელმწიფოს შექმნით გამოწვეული გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში 12

1.1. ისრაელის სახელმწიფოებრივი საფუძვლები.....12

1.2. პოლიტიკური სიონიზმი, როგორც იდეოლოგია ისრაელის სახელმწიფოსათვის.....16

1.3. პალესტინის ტერიტორიული პრობლემები და ებრაულ-არაბული კონფლიქტის გაღრმავება რეგიონში.....21

II თავი. ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სახელმწიფოს მიერ გამოწვეული კონფლიქტების გეოპოლიტიკა და ირანის პოზიცია..... 28

2.1. ისრაელისა და ირანის დიპლომატიური ურთიერთობები ისლამურ რევოლუციამდე 28

2.2. ისრაელის ტერიტორიული პრეტენზიებით გამოწვეული კონფლიქტები რეგიონში და ირანის დამოკიდებულება ამ კონფლიქტებისადმი.....35

2.3. ისლამური რევოლუციით გამოწვეული ირანის შიიტი სამღვდელოების ანტისიონისტური განწყობა.....40

I I I თავი. ისრაელსა და ირანს შორის ურთიერთობის რადიკალიზაცია ირანში ისლამური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე 47

3.1. ისრაელისა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის დიპლმატიური კავშირის გაწყვეტა და ისრაელის პოზიცი ირან-ერაყის ომში.....48

3.2. ირანის ისლამური რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ინტერვენცია ისრაელის განსაკუთრებული გავლენის ზონებში (ლიბანისა და სირიის მაგალითი).....55

3.3. ისრაელის ინტერესები ირანისათვის დაწესებული სანქციებისადმი.....66

დასკვნა..... 73

გამოყენებული ლიტერატურა: 78

შესავალი

ისრაელსა და ირანს შორის ურთიერთობა მკვეთრი დაპირისპირებით გამოირჩევა, რაც ერთმნიშვნელოვნად დიდი ზეგავლენას ახდენს რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. შესაძლოა ითქვას, რომ ირანის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს ანტისიონისტური პოლიტიკა. თავის მხრივ ისრაელისათვის ირანი წარმოადგენს სახელმწიფოს, რომლის ინტერესებიც რეგიონში იკვეთება ისრაელის ინტერესებთან და შესაბამისად ეს ორი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ . ამ ყოველივეს გამოიხატულრბა არის ის, რომ ისრაელი და ირანი ცდილობს სხვადასხვა სახის დარტყმა მიაყენოს ერთმანეთს.

თემის აქტუალობა - ისრაელისა და ირანის პოლიტიკური ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობებისაგან თავისი სპეციფიკით განსხვავებულია. მათ შორის ამჟამინდელი ურთიერთდამოკიდებულება ძალიან განსხვავდება ირანის ისლამური რევულიციის დროინდელი პერიოდისაგან. უკვე 40 წელია, რაც ამ ორ ქვეყანას შორის სერიოზული დაპირისპირებაა, იქამდე სერიოზული, რომ ზოგჯერ ესქპერტები ირანსა და ისრაელს შორის საომარ მოქმედებბესაც კი პროგნოზირებენ. ფაქტია, რომ ამ ორი ქვეყნის „მტრული“ დამოკიდებულებისდა მიუხედავად, ვითარება შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მისულა. ისმის ორივე მხრიდან მუქარა და ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებები. ამ ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემები მთლიანად მოქმედებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკურ უსაფრთხოებაზეც. ეს კარგად გამოჩნდა ბოლო დროინდელ ახლო აღმოსავლურ პოლიტიკურ კრიზისშიც. ამ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები გამომდინარეობს მათი რეგიონალური გეოსტრატეგიიდან. ისინი ცდილობენ გავლენის გაზრდას რეგიონში არამხოლოდ საკუთარი ძალებით არამედ გარედან მხარდაჭერის მიღებითაც. ასე, რომ მათ შორის არსებული წინააღმდეგობები, რომელიც რეგიონის საფრთხის შემცველი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარეობს. მათ განსხვავებული

ხედვები აქვთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან მიმართებაში, მაგრამ ყავთ „საერთო მტერი“ ტერორისტული ორგანიზაციაც „ისლამური სახალიფო“. ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს წერტილოვან სარაკეტო დარტყმებსაც აყენებს, მაგრამ ფართო მასშტაბის საომარ ოპერაციებში ის არასოდეს გადაზრდილა. სრული საომარი ოპერაცია არც ერთი მხარის ინტერესში არ შედის. აქიდან გამომდინარე, თემა აქტუალურია.

თემის მიზნები და ამოცანები :

კვლევის მიზანია

- ისრაელისა და ირანის ურთიერთობების შესწავლა და იმ შიდა ფაქტორების წინ წამოწევა, რამაც განაპირობა მათი გადანაცვლება მტრულ ბანაკებში.
- იმ გარე ფაქტორების განსაზღვრა, რომელიც ხელს უწყობს ამ ორი ქვეყნის მკვეთრ დაპირისპირებას.
- ისრაელისა და ირანის დამოკიდებულების წარმოჩენა ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით (განსხვავება, მსგავსება)და ამავე დროს მათი მოქმედებების განხილვა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ.
- ისრაელისა და ირანის ურთიერთობის გავლენის განსაზღვრა რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნებაზე .

კვლევის ამოცანაა

- რეგიონულ (ახლო აღმოსავლეთი) პრობლემებში ირანისა და ისრაელის ჩართულობის სიღრმისეული შესწავლა
- ისრაელისა და ირანის ურთიერთბების შედეგების ასახვა არა მხოლოდ მათ არამედ რეგიონულ პრობლემატიკაზე.

საკვლევი კითხვები :

1. როგორ შეიცვალა ისრაელ-ირანის ურთიერთობები ცივი ომის შემდეგ პოსტ -ბიპოლარულ პერიოდში?

2. რა განაპირობებს ისრაელსა და ირანს შორის ურთიერთობების მოწყვლადობას რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფის კონტექსტში?

3. ბირთვულ პროგრამასთან ერთად „იერუსალიმის საკითხი“, როგორ აისახება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე?

ჰიპოთეზა :

ისრაელი და ირანი მკვეთრად განსხვავებულ პოლიტიკურ კურს ატარებენ რეგიონში. მათი ხედვები მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში მკაფიოდ განსხვავებულია. ისრაელი ეწინააღმდეგება ირანის სწრაფვას რეგიონში ლიდერობისათვის და მის ყველა ქმედებას ისრაელის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, მსგავსი დამოკიდებულება აქვს ირანს ისრაელის მიმართ. მიუხედავად მათ შორის წინააღმდეგობისა , ბოლო პერიოდში მათ ერთნაირი მიდგომა აქვთ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახალიფოსთან“ მიმართებაში. ორივე მათგანი ამ ორგანიზაცის დაუძინებელ მტრად აღიქვამს.

კვლევის საგანი და ობიექტი :

კვლევის საგანი არის ახლო აღმოსავლეთის ორი განსხვავებული პოლიტიკური ხედვების მქონე და შესაბამისად მოწონააღმდეგე ქვეყნების ისრაელისა და ირანის ურთიერთობების კვლევა და რაც მთავარია მათი წინააღმდეგობების ასახვა რეგიონალურ უსაფრთხებაზე. ამავე დროს ჩვენი კვლევის საგანი, ტერორიზმთან დაკავშირებით მათ შორის არსებულ ხედვებში წინააღმდეგობებისა და მსგავსებების შესწავალა და განხილვაცაა. ასევე კვლევის

ერთ -ერთი საგანი რელიგიურ პრობლემატიკსაც ეხება, რაც ორივე მათგანისათვის საკმაოდ სენსიტიურია.

კვლევის ობიექტებია ისრაელი, ირანი, ტერორიზმი, რეგიონალური უსაფრთხოება

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია :

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია

„უსაფრთხოების დილემა“ -რომლის თანხმადაც თავდაცვითი პოლიტიკა სხვა ქვეყნის თვალში შესაძლოა აგრესიისათვის მზადებად აღიქმებოდეს, რომ ეროვნული უსაფრთხოებისათვის ზრუნვა შესაძლოა ომის რისკს ზრდიდეს. შედეგად იქმნება ჩაკეტილი წრე. რომლის მონაწილეებიც სამხედრო ძლიერების ზრდით სასურველის საწინააღმდეგო შედეგს, ომის საშიშროებას აღწევენ

ნეორეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის სკოლის თეორიები, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთესად გავაანალიზოთ კონფლიქტის არსი და მისი მოგვარების რეალური პერსპექტივები.

ჰეგემონიზმის სტაბილურობის თეორია -მიუთითებს, რომ საერთაშორისო სისტემა, სავარაუდოდ, სტაბილური რჩება მაშინ, როდესაც ერთი ერი-სახელმწიფო არის მსოფლიო დომინანტი ძალა, ან ჰეგემონი. არსებული ჰეგემონი სახელმწიფოს დაქვეითება ამცირებს საერთაშორისო სისტემის სტაბილურობას.

დემოკრატიული მშვიდობის თეორია- გულისხმობს მოცემულობას, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები არასოდეს (ან თითქმის არასოდეს) არ აწარმოებენ საომარ მოქმედებებს ერთმანეთის წინააღმდეგ.

ძალთა ბალანსის თეორია- ამ თეორიის მიხედით, იმის გამო რომ არსებული საერთაშორისო სისტემა აუცილებლად ანარქიულია, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის და შესაბამისად გადარჩენისთვის.

კვლევის მეთოდები :

კვლევის დამუშავების დროს გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები:

- მონაცემთა ანალიზი
- ისტორიულ აღწერილობითი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი
- კონტენტ ანალიზი
- პროცესების შედარებითი ანალიზი

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა :

ნაშრომი, აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს და შესაბამისად გამოადგებათ ისრაელისა და ირანის პრობლემატური ურთიერთობების კვლევებით დაინტერესებულ პირებს, ანალიტიკოსებს. თემის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ საკმაოდ საინტერესოა საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარისათვის. მისი გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შედეგების განხილვა :

შერჩეულ სამაგისტრო თემაში ყურადღება გავამახვილებულია იმ ძირითად პრობლემატურ საკითხებზე, რაც უკვე წლებია არსებობს ისრაელსა და ირანს შორის. ნაშრომში წინა პლანზეა გამოტანილი ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ამ ორ ქვეყანას სტაბილურ ურთიერთობებში. ეს ყოველივე კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონულ უსაფრთხოებაზე. წინააღმდეგობები და შეუთანხმებლობები გამომდინარეობს როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური ფაქტორებიდან.

რაც მთავარია ნაშრომში საკვანძო საკითხადაა განხილული ტერორიზმთან დაკავშირებით ისრაელისა და ირანის , როგორც განსხვავებული, ისე საერთო

ხედვები. რელიგიური ფაქტორებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია იერუსალიმის პრობლემა, რომელიც როგორც სხვა დანარჩენი მუსლიმური სამყაროსათვის ასევე მგრძნობიარეა ირანისათვის.

ძირითადი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა :

1. **გაჩეჩლაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“, თბილისი, (2019)** -ქართულ ენაზე ბოლო პერიოდში ისრალსა და ირანს შორის ურთიერთობის დაძაბულობა, როგორც რეგიონული პრობლემების, ისე ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით საინტერესოდ აქვს განხილული რ . გაჩეჩილაძეს ამ წიგნში, რომელიც ჩვენი კვლევისთვის საინტერესო მასალას შეიცავს.

2. **სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. “ახლო აღმოსავლეთის ისტორია“ თბილისი, (2011).** აღნიშნულ ნაშრომში კარგადაა შესწავლილი ისრაელის საგარეო პოლიტიკური ვექტორი რეგიონში და ამ ყოველივეს საფუძველზე მისი წინააღმდეგობები რიგ სახელმწიფოებთან და მათ შორის ირანთან. აქიდან გამომდინარე ზემოხსენებული მასალა ჩვენთვის საინეტერესოა.

3. **საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენციის შრომები თბილისი ,(2015)** მაია კაპანაძე-აიათოლა ხომეინის პოლიტიკური პორტრეტი-ანტისიონისტური განწყობა ისლამური რევოლუციის პერიოდში და ამ ისრაელსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთეირთობის გაწყვეტა განხილულია ამ სტატიაში.

4. **ხ. ჰერცოგი, “ისრაელ-არაბების ომები”, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი - (2007).** - ჰერცოგ ხაიმს აღნიშნულ ნაშრომში განხილული აქვს ისრაულ -არაბული ომების მიმდინარეობისას ირანის პოზიციები, კერძოდ ის, რომ თუკი არაბული ქვეყნებისათვის ისრაელის არსებობა დაუშვებელი იყო, ამ ფონზე ირანი არ

უპირისპირებოდა ისრალს და პირიქით მასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ქონდა, როგორც დიპლომატიურ ისე სამხედრო სფეროში.

5. **Borovoy,Yacov ,Nina Mamedova & Mikhail Nosov. "Iran and its neighbours". Moscow foundation-East-westers bridges- (2003)**- ისრაელ-ირანის ურთიერთობები მეოცე საუკუნის ბოლოდან 2003 წლამდე საკმაოდ სანტერესოდაა განხილული კონკრეტულ ნაშრომში ,რაც ჩვენი თემისთვის მიშნელოვანი ინფორმაციის შემცველია.

6. **Brzezinski, Zbigniew. "from hope to audacity: Appraising Obama's foreign policy Foreign Affairs", January/February (2010)**- ისრაელის მკაცრი კრიტიკა ობამას საგარეო პოლიტიკის გამო, რითაც მოხდა ირანისათვის სანქციების შემსუბუქება გაანალიზებულია აღნიშნულ ნაშრომში, რაც დაგვეხმარა ამ საკითხის უფრო სიღრმისეულად გაშუქებაში

7. **Shlaim , Avi "the Iron wal : Israel and Arab World", New York London W.W. Norton and co (2000).** ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობების მიზეზები, მათ შორის კონფლიქტები და ამ კონფლიტებში ირანის დამოკიდებულება საკმაოდ კარგადაა გაშუქებული ამ ნაშრომში, რომელიც დაგვეხმარა ჩემს თემაზე მუშაობიას.

8. **Sachar, Howard M.A "History of Israel from the rize of Zionism to our time". 3 ed New York Alfred A.knopf (2007).** ისრაელისათვის სიონიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის მნიშვნელობა განხილულია აღნიშნულ ნაშრომში. აქ ყურადღება გამახვილებულია არამარტო მე-19 საუკუნის სიონიზმის იდეოლოგიაზე, არამედ ამ იდეოლიგიის როლსა და მნიშვნელობაზე ისრალის სახემწიფოსთვის.

I თავი. ისრაელის სახელმწიფოს შექმნით გამოწვეული გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში

ისრაელის სახელმწიფოს შექმნა მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც იკვეთებოდა , ეს იყო ტერიტორიის საკითხი. მათ გალუთებში ანუ იგივე დიასპორებში ცხოვრების შემდეგ გადაწყვიტეს პალესტინის ტერიტორიაზე დასახლებულიყვნენ და აღედგინათ თავიანთი სახელმწიფო , რადგან მათ სწამდათ, რომ ღმერთმა სწორედ პალესტინის ტერიტორია აღუთქვა ებრაელებს, როგორც ღვთისგან რჩეულ ერს.

სწორედ აქიდან დაიწყო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში. ებრაელთა და პალესტინელ არაბთა დაპირისპირებების შედეგად იცვლებოდა სახელმწიფოთა ტერიტორიული მოცულობა. ბრიტანული მანდატი დაწესდა ტერიტორიაზე, თუმცა პრობლემის მოგვარება არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა ბრიტანეთისთვის. მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები თუ ქმედებები ასუსტებდა ბრიტანეთს, რეგიონში კონფლიქტს კი დასასრული არ უჩანდა. ბრიტანეთის შემდეგ გაეროს მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტის მოგვარება და შესაბამისად წარდგინა ტერიტორიული გაყოფის გეგმა.

საბოლოოდ კი დიდი ბრძოლის შემდეგ ებრაელებმა შეძლეს ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფო მკაცრი, სიონისტური პოლიტიკური პრინციპების საფუძველზე.

1.1. ისრაელის სახელმწიფოებრივი საფუძვლები

ძველ ებრაელთა პირველი ისრაელის სამეფოში შედიოდა დასავლეთ სემიტური მოდგმის ტომები ესენი იყვნენ ისრაელი , იუდეა, ბენიამინი, ზებულონი და სხვა. ეს სამეფო წარმოიშვა დღევანდელი პალესტინის ტერიტორიაზე -ქანაანში დაახლ. ჩვ.წ.ა XI ს.-ის ბოლოს , როდესაც ისრაელთა

ტომებმა თითქმის მთლიანად დაიპყრეს ადგილობრივი ქანაანელები და მათთან ერთად სხვა დას. სემიტური წარმოშობის ტომები. ქანაანის ტერიტორიაში იგულისხმებიდა ტერიტორია ხმელთაშუა ზღვიდან მდინარეების ორონტესის და იორდანეს ველებამდე, ტავრის მთიდან ღაზამდე. „თორას“ თანახმად, ქანაანის მიწა ანუ იგივე ერეც-ისრაელი იყო ღმერთის მიერ აღთქმული მიწა ისრაელის შთამომავლებისათვის. ისრაელის სამეფოს პირველი მეფე ჩვ.წ.ა. 1025 წელს გახდა საული. მეფე დავითმა (ჩვ.წ.ა 1003-970) იებუსელებისაგან (ძველი სემიტები) გაათავისუფლა ქალაქი იერუსალიმი, რომელიც ასევე მათი ადრინდელი მფლობელებისათვის იებუსელებისათვისაც საკულტო ქალაქი იყო. მეფე დავითმა გამოაცხადა ის ისრაელისა და იუდეას გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად და იქ იაჰვეს კულტი დაამყარა. მეფე სოლომონის (ჩვ.წ.ა 970-931) სახელს უკავშირდება ისრაელ-იუდეას ერთიანი სამეფოს აყვავება , იერუსალიმის ტაძრის აგება. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ მოხდა ისრაელ-იუდეას ერთიანი სახელმწიფოს გაყოფა (ჩვ.წ.ა. 930-920) ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ , სამხრეთი სამეფო და ჩრდილოეთ სამეფო . პირველ მათგანში იგულისხმება იუდეას სამეფო (იგულისხმება ცენტრი იერუსალიმი) ხოლო მეორეში - ისრაელის სამეფო (რომლის ცენტრიც იყო - ქ. სიქემი , ანუ ახლანდელი ნაბლუსი; შემდეგ კი ახალი სატახტო ქალაქი დაარსდა - სამარია).[1]

ჩვ.წ.ა. 722 წელს ასურელებმა დაიპყრეს ისრაელის სამეფო რის შემდეგაც იქიდან განდევნეს ებრაელები და მათ ადგილას ბაბილონელები და არამეელები ჩაასახლეს. ჩვ.წ.ა 586 წელს ბაბილონელებმა დაისაკუთრა იუდეა, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ გადაასახლა ბაბილონში, აქ შეიქმნა პირველი ებრაული დიასპორა . ამით დაიწყო ე.წ. „ბაბილონის ტყვეობა“. ჩვ.წ.ა 538 წელს აქემენიანთა ირანის მიერ ბაბილონის დამხობის შემდეგ კიროს II-მ იუდეველებს იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენების ნება დართო. ჩვ.წ. ა IV ს.-ში ალექსანდრე მაკედონელის

[1] სანიკიძე, გ , ალასანია, გ. გელოვანი, ნ .” ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან“, თბილისი (2011). გვ. 508-515

მმართველობის დროს იუდეა მის კონტოლირებად იმპერიაში შედიოდა. შემდეგ იუდეა რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად გადაიქცა. იუდეა ახ.წ. 70 წელს დაეცა , როდესაც ტიტუს ფლავიუსმა (რომაელმა სარდალმა) დაანგრია იერუსალიმი. ებრაელები საბოლოოდ განდევნილ იქნებ ახ.წ. 135 წელს იერუსალიმისა და მისი მიმდებარე მიწებიდან. ამ ტერიტორიას რომაელებმა უწოდეს პალესტინა. რომაელები პალესტინას IV საუკუნემდე ფლობდნენ ხოლო შემდეგ ის ბიზანტიის კონტროლის ქვეშ გადავიდა. არაბების მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ (638 წ.) მათ ებრაელებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, სადაც ებრაელებს რომაელები და ბიზანტიელები ხუთი საუკუნის განმავლობაში დასახლების უფლებას არ აძლევდნენ. 1516 წელს მას შემდეგ რაც ოსმალეთმა პალესტინა დაპყრო ,ებრაელეთა მიგრაცია მცირე დაჯგუფებად ოსმალური პალესტინის მიმართულებით შეუჩერებელი იყო. [2]

„ბაბილონის ტყვეობის“ შემდეგ ორი ათასწლეულის განმავლობაში ებრაელთა უმრავლესობა ცხოვრობდა დიასპორაში: სპარსეთი, მესოპოტამია, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, აშშ, რუსეთი, და სხვ. მათ შორისაა საქართველო. დადასტურებულია რომ პირველი ებრაული კოლონია საქართველოში ჩვ.წ.ა. II ს-ში შეიქმნა, ხოლო მცირე ნაწილი რჩებოდა პირვანდელ სამშობლოშიც.

ისინი ხშირად განიცდიდნენ მასობრივ დევნასა და შევიწროვებას. როგორც ცნობილია, 1215 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ ებრაელები დაავალდებულა რომ ეტარებინათ სპეციალური სამოსი. გარდა ამისა, მათ აუკრძალა ხელოსნობით ესარგებლათ, ამის შემდეგ კი შეიქმნა „გეტოები“ ანუ ებრაელთა დასახლებები. 1555 წლის რომის პაპის ბულათით (Cum nimis absurdum) დაწესდა, როგორც ეკონომიკური ისე რელიგიური შეზღუდვები ებრაელთათვის ცენტრალური იტალიის ტერიტორიაზე (რომელზეც ვრცელდებოდა პაპის უფლებამოსილება 1870 წლამდე) . 1558 წელს რომის პაპმა დაამტკიცა კანონები, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში კიდევ უფრო გაიზარდა

[2] გაჩეჩილაძე, რ.(2011). „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“, თბილისი (2019) გვ. 318-325

კონტროლი ებრაელებზე. თუმცა უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე გერმანიაში ისევე როგორც საფრანგეთში ებრაელებისათვის მდგომარეობა დაუმჯობესდა და შეიქმნა ხელსაყრელი პირობები. აქიდან გამომდინარე ნელ-ნელა გაჩნდა ებრაელთა ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციის იმედი და შესაძლებლობა. ამის საშუალებით უამრავი ებრაელი გახდა ევროპული ლიტერატურის , ხელოვნების, კულტურის, თვალსაჩინო და წარმატებული წარმომადგენელი. მოძრაობა „ჰასკალას“ (ებრაული განათლება) შემქმნელი და სულიერი ლიდერი გახდა ეგზეტიკოსი და ფილოსოფოსი , მოსეს მენდელსონი . მისმა იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა XIX ს-ში იუდაიზმის რეფორმაციაზე. 1871 წელს ებრაელებმა მიიღეს მოქალაქეობა საფრანგეთში მანამდე კი 1858 წელს ინგლისში. „ემანსიპაციის“ კამპანია, ანუ ებრაელების მიერ ყველა სამოქალაქო უფლების მიღება,ნე-ნელა გაფართოვდა. მალე მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა.[3] 1880 -იან წლებში კარლ დიურინგმა გერმანელმა ფილოსოფოსმა გამოაქვეყნა ნაშრომები.ეს ნაშრომები მიმართული იყო ებრაელების წინააღმდეგ . კარლ დიურინგი მოუწოდებდა ევროპელებს რომ ებრაელები გადაეყვანათ სპეციალურ დასახლებებში - გეტოებში და რომ მათთვის ჩამოერთმიათ სამოქალაქო უფლებები . მისი აზრით, ებრაული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ მათი ხოცვის გზით .[4]

1881 წლის 1 მარტს რუსეთში მოქმედი რადიკალური ორგანიზაცია ნაროდნაია ვოლიას ტერორისტული აქტით მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდერე II. ამ დანაშაულში კი ებრაელებს დასდეს ბრალი. ამას ბუნებრივია მოჰყვა ებრაელების რბევა რუსეთში. ევროპაში ებრაელთა მდგომარეობის გაუარესება და შესაბამისად მათი ჩაგვრისა და დევნის ეტაპი დაიწყო ადოლფ ჰიტლერის დროს. მაშინ როდესაც იყენებდნენ გაზის კამერებს და ქმნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებს. როგორც ცნობილია, გერმანიაში

[3] სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან“ (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, (2011) გვ. 125-135

[4] სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან“ (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, (2011) გვ. 317

ნაცისტების მსგავს დამოკიდებულებას და შესაბამისად გატარებულ ღონისძიებებს 1939-1945 წლებში შეეწირა 6 მლნ ებრაელის სიცოცხლე.

XIX საუკუნის დასაწყისში პალესტინაში ებრაული მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 5000 ადამიანს. ისინი ცხოვრობდნენ უმთავრესად 4 ქალაქში, ესენი იყო: ტიბერია, იერუსალიმი, ხებრონი და საფედი (ცფათ). ებრაელებს არასდროს არ შეუწყვეტიათ პალესტინაში, „ წმინდა მიწაზე“ პატარ-პატარა ჯგუფებად ჩასახლება, რადგან პალესტინა მათთვის ნამდვილად იყო ებრაული საკულტო ცენტრი.

თუმცა XIX ს-ის ბოლომდე ებრაული კერის ჩამოყალიბებისათვის რეალური ხელშემწყობი პირობები არ არსებობდა . ამ ყოველივეს გამო კი მათი კავშირი წმინდა მიწასთან დიდხანს იყო აუსრულებელი იდეა. მე-19 საუკუნის დასასრულიდან წაიყო „ძველი მესიანური“ და „მითიური“ სიონიზმის ეპოქა, როგორც ამას აღნიშნავდა ამერიკელი მკვლევარი უოლტერ ლაკერი (იგი იყო „სიონიზმის ისტორიის“ ავტორი).

შესაძლოა ითქვას რომ, ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა დაბრუნების იდეა დაიბადა XVIII ს-ის ბოლოს. როგორც, ცნობილია ნაპოლეონ ბონაპარტე, ეგვიპტის ექსპედიციის (1798-1801) დროს ფიქრო ბდა იერუსალიმის სამეფოს შექმნაზე. ნაპოლეონი ებრაელებს აჯანყებულიყებისაკენ მოუწოდებდა, რათა პირველ რიგში აღედგინათ თავიანთი სამოქალაქო უფლება.[5]

1.2. პოლიტიკური სიონიზმი, როგორც იდეოლოგია ისრაელის სახელმწიფოსათვის

XIX საუკუნის ევროპაში ნაციონალიზმის (ამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით) ზრდა – «ერების გამოღვიძება” – გამოიხატა პოლონეთის აჯანყებებში, ჰაბსბურგთა იმპერიაში უნგრეთის აღმასვლაში, იტალიისა და

[5] Tuchman, B.W. „Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour“. New York: Ballantine Bokks. (1984) P.85

გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოების შექმნაში, ირლანდიის ბრძოლაში ჰოუმრულისათვის (ავტონომიისათვის) და ა.შ. ამ პროცესმა გავლენა მოახდინა სხვა ერებზეც. შესაბამისად ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სურვილი ლამის საყოველთაო გახდა.

ევროპელმა და რუსეთის ებრაელობამ კი აღმოაჩინა, რომ ყველა სხვა ერს, მათ გარდა, შეუძლია ევროპის გარკვეულ ტერიტორიაზე ჰქონდეს პრეტენზია. ამიტომაც მათ თვალი მიაპყრეს პალესტინას. 1881 წელი გარკვეული ათვლის წერტილია პალესტინაში ევროპელი ებრაელების იმიგრაციისა და, ერთდროულად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დაწყებისთვისაც. იმ წლის 1 მარტს რუსული რადიკალური ორგანიზაცია "ნაროდნაია ვოლიას" ტერორისტული აქტის შედეგად მოკლულ იქნა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრ II, კაცი, რომელმაც სახელი გაითქვა ბატონყმობის გაუქმებით, ლიბერალური – საუნივერსიტეტო, სასკოლო, პრესის, სათემო, სასამართლო, სამხედრო რეფორმებით. ტერორიზმის ამ აქტზე რეაქცია იყო რუსეთში რეფორმების შეწყვეტა, ცარისტული რეჟიმის გამკაცრება . 156 იმ საბაბით, რომ ნაროდნაია ვოლიას წევრებს შორის რამდენიმე ებრაელიც ერია, რუსეთში დაიწყო ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ებრაელთა პოგრომები (დარბევა). ამან უბიძგა რუსეთის იმპერიის პოლონურ, უკრაინულ, ბესარაბიულ გუბერნიებში მცხოვრებ ბევრ ებრაელს დასავლეთის ქვეყნებში, უპირველესად, აშშ-ში, ემიგრაციისაკენ.

ებრაელთა ნაწილმა კი იერუსალიმისკენ აიღო გეზი. XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში გაძლიერებულმა ანტისემიტიზმმა ევროპის ებრაელთა წრეები აიძულა დაეწყოთ სერიოზული მსჯელობა, თუ სად შეიძლებოდა შექმნილიყო ებრაული სახელმწიფო. ერთხანს ლაპარაკი იყო უგანდაზე, იემენზეც კი. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა დაბრუნებას შორეული წინაპრების მიწაზე – პალესტინაში, რომელიც ებრაელებისათვის იყო სიონი.

სიონიზმის , როგორც ებრაელთა ეროვნული მოძრაობის, დაფუძნება მოხდა 1897 წელს ქ. ბაზელში ჩატარებულ პირველ სიონისტურ კონგრესზე, რომლის მოწვევის ინიციატორი იყო თეოდორ ჰერცლი (1860-1904). ის იყო

ავსტრიელი ჟურნალისტი, პრაქტიკულად ასიმილირებული ებრაელი (მან საკუთარ ვაჟს, ჰანსს, წინადაცვეთაც კი არ გაუკეთა). ჰერცლს სიონიზმის იდეების პროპაგანდისაკენ უბიძგა ერთი ფრანგი ოფიცრის, რელიგიით ებრაელი ალფრედ დრეიფუსის, წინააღმდეგ 1894 წელს სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაწყებულმა სასამართლო პროცესმა. საბოლოოდ, 1906 წელს დრეიფუსი გაამართლეს, მაგრამ პროცესს და მასზე ფრანგული პრესის ნაწილის გამოხმაურებას ანტისემიტიზმის სუნი უდიოდა.

1896 წელს ჰერცლმა თავის წიგნში, «სახელმწიფო, დახატა მომავალი ებრაული ქვეყნის სურათი პალესტინაში. მისი ოცნება, რომ ნახევარ საუკუნეში ასეთი სახელმწიფო შეიქმნებოდა, მართლაც ახდა. სიონიზმი შეიქმნა, როგორც სეკულარული, არარელიგიური მოძრაობა. მაგრამ «ძველი ახალი მიწის" ასარჩევად გამოყენებული იქნა რელიგიური არგუმენტი – ის, რომ თორას თანახმად, ებრაელთა ღმერთმა იაჰვემ (იეღოვამ) თავის რჩეულ ხალხს აღუთქვა ქანაანი, რომელიც ტერიტორიულად პალესტინას ემთხვევა. პალესტინაში ებრაელთა მასობრივ იმიგრაციას (ალიას) ესაჭიროებოდა 157 ეკონომიკური და იურიდიული ბაზა. სიონიზმისათვის ეკონომიკური ბაზის შექმნა შედარებით ადვილი საქმე იყო: ბევრი მდიდარი ებრაელი დათანხმდა, გაეღო თანხა ამ მიზნით. 1901 წელს შექმნილმა ებრაულმა «მიწის ფონდმა" [კერენ კაიემეთ], რომელიც შემოწირულობებით არსებობდა, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, 1948 წლამდე, პალესტინაში შეიძინა 96 ათასი ჰექტარი მიწა, რაც ებრაელი ხალხის განუყოფელ ქონებად ითვლება. ჯერ კიდევ «წინასიონისტურ» პერიოდში, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, მდიდარ ებრაელ როტშილდთა ფრანგული შტოს წარმომადგენელი ბარონი ედმონ როტშილდი და ზოგი სხვა მსხვილი ებრაელი ფინანსისტი ყიდულობდა მიწას პალესტინაში და ცდილობდა ებრაული იმიგრაციის წახალისებას. ასე გაჩნდა დასახლებები ზიხრონიაკოვი, ფეთახთიკვა , რეხოვოთი, რიშონლეციონი. 1909 წელს ქ. იაფოში მცხოვრებმა ებრაულმა თემმა რამდენიმე კილომეტრით ამ ქალაქის ჩრდილოეთით გადაინაცვლა და დააარსა დასახლება, რომელსაც უწოდა თელ ავივი (ებრაულად

«გაზაფხულის ბორცვი»). 1903 წლისათვის პალესტინაში უკვე 25 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ძირითადად, რეპატრიანტები აღმოსავლეთ ევროპიდან.

XX საუკუნის დამდეგიდან ებრაულმა იმიგრაციამ პალესტინაში იმატა. ამ პერიოდის ე.წ. «მეორე ალიას" დიდი ნაწილი შეადგინეს ერთდროულად სოციალისტური და სიონისტური იდეებით შეპყრობილმა ახალგაზრდა ებრაელებმა აღმოსავლეთ ევროპიდან (უპირატესად, რუსეთის იმპერიიდან და რუმინეთიდან). ისინი პალესტინაში აარსებდნენ კიბუცებს* – სასოფლოსამეურნეო საწარმოებს აბსოლუტურად ყველაფრის კოლექტიური საკუთრებით. ეს შრომისმოყვარე, სეკულარული კიბუცნიკები, რომლებსაც ერთ ხელში თოხი ეჭირათ და მეორეში თოფი, იყვნენ ის პიონერები, რომლებიც ქმნიდნენ მომავალი ებრაული სახელმწიფოს ხერხემალს. კიბუცების მიწა დღემდე კოლექტიური საკუთრებაა, თუმცა XX საუკუნის ბოლოსათვის კიბუციზმის იდეოლოგია გაცვდა: ახლა მინდორში იდეური კიბუცნიკების ნაცვლად დაქირავებულ ტაილანდელ მუშებს უფრო იხილავთ . ვიდრე პალესტინა ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, ებრაელთა ჩასახლება უფრო ადგილობრივი ოსმალო მოხელის ნებასურვილზე (ან, უფრო ზუსტად, მისი კორუმპირებულობის დონეზე) იყო დამოკიდებული. ვითარება შეიცვალა, როდესაც ეს მხარე ევროპული იმპერიის – დიდი ბრიტანეთის ხელში აღმოჩნდა.

ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა «ბალფურის დეკლარაცია», სადაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებდა მხარდაჭერას სიონისტური მიზნისათვის. როგორც ისრაელელი ავტორი ტომ სეგევი წერს: «ბრიტანელებმა შეუსრულეს დაპირება სიონისტებს. მათ გაუხსნეს გზა მასობრივ ებრაულ იმიგრაციას: 1948 წლისათვის ებრაული მოსახლეობა გაათმაგდა. ებრაელებს ნება დაერთოთ ეყიდათ მიწა, განევითარებინათ სოფლის მეურ-ნეობა, დაეარსებინათ საწარმოები და ბანკები. ბრიტანელებმა მათ ნება დართეს შეექმნათ ასობით დასახლება, მათ შორის რამდენიმე ქალაქი. ებრაელებმა შექმნეს სასკოლო სისტემა და არმია; დააარსეს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და არჩევითი ინსტიტუტები; ამის შედეგად მათ [ებრაელებმა] საბოლოოდ დაამარცხეს არაბები. ყველაფერი ბრიტანული სპონსორობით

კეთდებოდა, 1917 წლის დაპირების შესაბამისად. წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული აზრისა, თითქოს ბრიტანეთი პროარაბული იყო, სინამდვილეში 159 ბრიტანეთის ქმედება საგრძნობლად უწყობდა ხელს სიონისტურ წამოწყებას" . მაგრამ სეგევი აღწერს იმასაც, თუ როგორ არ უსრულებდა ლონდონი სიონისტებს ყველა დანაპირებს. ფაქტია, რომ, ისრაელელი ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების უმრავლესობა მანდატისდროინდელ დიდ ბრიტანეთს ებრაელებისადმი არამეგობრულ ძალად სახავს. ეს კი საზოგადოებრივ აზრს ქმნის. 1917 წლიდან დიდი ბრიტანეთი პალესტინაში ფაქტობრივად მართავდა «მტრისაგან ოკუპირებულ ტერიტორიას", 1922-1947 წლებში ეს იყო ერთა ლიგის მანდატით დიდი ბრიტანეთისათვის სამართავად გადაცემული ტერიტორია.

დიდ ბრიტანეთს პალესტინაში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა. მას სჭირდებოდა ხაიფას ნავსადგური, რომელიც ბრიტანული ფლოტის მსხვილ ბაზად იქცა. ფლოტს კი უნდა დაეცვა სუეცის არხი. სერიოზული ეკონომიკური ინტერესი კი ბრიტანეთს პალესტინაში არ ჰქონია. როგორც ბრიტანული ადმინისტრაციის ერთი-ერთი წარმომადგენელი თავის მოგონებებში წერდა, «პალესტინა ჩვენი უმრავლესობისათვის უფრო ემოცია იყო, ვიდრე რეალობა" ლონდონს, როგორც ჩანს, თავიდან იმედი ჰქონდა, რომ პალესტინაში ებრაული იმიგრაციის წახალისებით გარკვეულად დააბალანსებდა არაბი ლიდერების მისწრაფებას, შეექმნათ ერთიანი არაბული სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს შექმნა ლონდონის ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომაც შეუწყო მან ხელი იორდანიასა და ერაყში სხვადასხვა სახელმწიფოს შექმნას და იქ 160 ჰაშიმიანთა საგვარეულოს ორი შტოს გაბატონებას, რომლებიც მექადან განდევნა მეტოქე საუდიანთა საგვარეულომ. ლონდონის კაბინეტებში რამდენიმე ჯენტლმენმა გადაწყვიტა, რომ ევროპელი ებრაელების იმიგრაცია პალესტინაში ინდოეთამდე იმპერიული გზის დამატებითი დაცვისა და ეგვიპტესა და სუდანში ბრიტანული ჰეგემონიის გამაძლიერებელი ფაქტორი გახდებოდა.

I მსოფლიო ომის დროინდელ ლონდონში, სადაც წყდებოდა პალესტინის ბედი, პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, სერიოზულად არ აღიქვამდნენ სიონისტურ ოცნებას – შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო პალესტინაში. დაუნინგსტრიტზე

კიდევ უფრო ნაკლებად ფიქრობდნენ იმ საშიშროებაზე, რაც ახლო აღმოსავლეთში ახალი ეთნიკური კონფლიქტური კერის შექმნას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ასეთი კერა კი გაჩნდა.[6]

სიონიზმი უფრო მეტია, ვიდრე ისრაელისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატვა და ის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ალია. სიონისტური იდეოლოგია წარმოადგენს ყოვლისმომცველ მიდგომას ებრაელი ხალხის პრობლემებისადმი. სიონიზმი მრავალი წლის განმავლობაში იყო წამყვანი, ინსპირირებული იდეა ებრაელთა ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ებრაელთა უმცირესობა იყო დაკავშირებული სიონისტურ ორგანიზაციებთან. მან გააერთიანა დაშლილი ხალხი საერთო მიზნის მისაღწევად, მოახდინა მათი ენერგიების რეალიზაცია და იმედის როლს ასრულებდა მრავალწლიან ტანჯვაში.[7]

1.3. პალესტინის ტერიტორიული პრობლემები და ებრაულ-არაბული კონფლიქტის გაღრმავება რეგიონში

მანდატის სისტემა ერთა ლიგის მიერ შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში, თვითმმართველი ტერიტორიების ადმინისტრირების მიზნით. საერთაშორისო ორგანოს მიერ დანიშნულ მანდატს სავალდებულო ძალა ჰქონდა და გულისხმობდა ტერიტორიის დროებით ნდობას სხვა სახელმწიფოსთვის. ეს ყოველივე კი რა თქმა უნდა ხორციელდებიდა მოსახლეობის კეთილდღეობისა და წინსვლისთვის.

1917 წლის 11 დეკემბერს ბრიტანეთის არმია გენერალი ედმუნდ ალენბისის მეთაურობით იერუსალიმის საზღვრებს მიადგა, კონკრეტული

[6] გაჩეჩლაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი პოლიტიკური გეოგრაფია“, თბილისი (2019) გვ. 155-160
[7] Sachar, Howard M.A „ History of Israel from the rize of Zionism to our time.“ 3 ed New York Alfred A.knopf (2007) P. 104

ქმედების გამო კი იერუსალიმი გამოცხადდა ბრიტანეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის ცენტრად. [8]

1922წ. სან რემოს საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა . იმის გამო , რომ იქ დამსწრე საზოგადოება აღიარებდა "ებრაელი ხალხის ისტორიული კავშირს პალესტინასთან", დიდ ბრიტანეთს მოუწოდეს ხელი შეეწყო ებრაელთა ეროვნული სახლის დაარსებისთვის პალესტინაში-ერეზის ისრაელში (ისრაელის მიწა). ცოტა ხნის შემდეგ, 1922 წლის სექტემბერში, ერთა ლიგამ და დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტეს, რომ ებრაელთა ეროვნული სახლის შექმნის შესახებ დებულებები არ გავრცელებულიყო მდინარე იორდანის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებზე, რომელიც შეადგენდა მანდატის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიის სამ მეოთხედს და რომელიც საბოლოოდ გახდა იორდანიის ჰაშემიტთა სამეფო.

"პალესტინის მანდატი" არ იყო გულუბრყვილო ხედვა, რომელიც შექმნილი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ . მანდატმა დროებითი გამოცდა ჩაატარა: 1946 წლის 18 აპრილს, როდესაც ერთა ლიგა დაიშალა და მისი აქტივობები და მოვალეობები გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საერთაშორისო საზოგადოებამ, არსებითად, კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედება და დაადასტურა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ნება იყო რეალურად არსებული მდგომარეობის დაუმჯობესება და ეს ყოველივე "წმინდა ნდობაზე" იყო დაფუძვნებული - იმისდა მიუხედავად, რომ იმ დროისთვის აშკარად ცხადი იყო, რომ არაბები ებრაელთა ეროვნული სახლის შექმნის იდეას ეწინააღმდეგებოდნენ.

ბრიტანეთის მანდატის ხელისუფლებამ ებრაულ და არაბულ საზოგადოებებს მიანიჭა უფლება განეხორციელებინათ თავიანთი საშიანაო საქმიანობა; ამრიგად, ჩამოაყალიბეს ასამბლეა და ეროვნული საბჭო. შედეგად კი ეკონომიკა შესამჩნევად მოძლიერდა, გარდა ამისა მოეწყო და ამუშვდა ებრაული განათლების ქსელი და განვითარდა კულტურული ცხოვრება.

[8] Segev, Tom."One Palestine,Complete : Jews and Arabs under the British Mandate".New York :Henry holt and Company, (2000) Pp. 25-29

ჩერჩილი საინტერესოდ აღნიშნავდა, რომ როდესაც მას ჰკითხავენ, თუ რას გულისხმობს პალესტინაში ებრაულებისთვის სახლის შექმნაში შეიძლება ამ კითხვას ასე უპასუხონ ,რომ ძირითადად მათი მიზანი მთლიანად პალესტინის მოსახლეობზე ებრაული ეროვნების დაწესება კიარაა, არამედ იქ დასახლებული ებრაელის შემდგომი განვითარებაა მათი მიზანი. იმისთვის, რომ ამ საზოგადოებას ჰქონდეს თავისუფალი განვითარების პერსპექტივა და რომ ებრაელებმა იცოდეს, პალესტინაში ცხოვრობათი მათი უფლებაა და შესაბამისად ის აქ არ უნდა იტანჯებოდეს.

მანდატის მფლობელმა მთავრობამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია და ვერ შეძლო მანდატის შენარჩუნება. ამ ყოველივეს კი განაპირობებდა პირველ რიგში არაბული ზეწოლის პირობები, არაბი ხალხის ქმედებები. პალესტინელი არაბები, რომლებსაც სურდათ პოლიტიკური ავტონომია და უკმაყოფილო ყოფილიყვნენ ებრაული იმიგრაციით პალესტინაში, არ ჩერდებოდნენ და გადავიდნენ მოქმედებებზე, მათი უკმაყოფილება გადაიზარდა ღია აჯანყებაში.

მალევე მათ განიზრახეს მანდატის დატოვება და იმ ვალდებულებისაგან განთავისუფლება, რაც მათ დაეკისრათ 1922 წელს. მათ გამოყვეს ის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც ამბობდენ უარს მანდატზე. ეს ყოველივე განაპირობა იმიგრაციამ და მიწის შეძენის საკითხთან დაკავშირებით შეზღუდვამ. 1930 და 1939 წლების თეთრმა ნაშრომებმა შეზღუდეს იმიგრაცია და ებრაელთა მიერ მიწის შეძენა. თავდაპირველად, იმიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები შემოიფარგლებოდა 1930 და 1939 წლებში თეთრი ფურცლებით, ხოლო ებრაელთა მიერ მიწის შეძენა მკაცრად შეიზღუდა 1940 წლის მიწის გადაცემის წესებით. [9]

კომისიამ გამოაქვეყნა მისი მოხსენება 1937 წლის ივლისში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მანდატი არაკომპლექტური იყო, რადგან პალესტინაში ებრაული და არაბული მიზნები შეუსაბამო იყო და იგი ითვალისწინებს პალესტინის

[9] „British Palestine Mandate: History & Overview (1922 - 1948)“ P.1.
https://www.jewishvirtuallibrary.org/history-and-overview-of-the-british-palestine-mandate
(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.06.2020)

დანაწევრებას სამ ზონაში: არაბული სახელმწიფო, ებრაული სახელმწიფო და ნეიტრალური ტერიტორია, რომელიც შეიცავს წმინდა ადგილებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ თავდაპირველად მიიღო ეს წინადადებები, 1938 წლისთვის მან აღიარა, რომ ასეთი დანაწევრება შეუძლებელი იქნება და საბოლოოდ უარყო კომისიის დასკვნა

მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც მეორე მხარე არ იყო მშვიდად და ცდილობდა, რომ გამოეყენებინა ყველა შესაძლო საშუალებები მათი ინტერესების დასაცავად. ებრაელების უკმაყოფილების მიზეზი იყო ის, რომ დიდი ნაწილი იმისა, რასაც ისინი ისტორიულ პალესტინას უწოდებდნენ, ტრანსიორდანიას მიეცა. მათი ინტერესების დასაცავად ებრაულმა მხარემ შექმა „რევიზიონისტული“ მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა ვლადიმირ ჟაბოტინსკი (1880-1940).

არსებული პრობლემის მოსაგვარებლად კი ინგლისი ძალიან ბერს იბრძვოდა, ეძებდა სხვადასხვა საშუალებებს „ჩიხიდან“ გამოსასვლელად, თუმცა შედეგად მხოლოდ მის დასუსტებას იღებდა. გარდა ამისა იგი ცდილობდა რომ ერთნაირად კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ორივე დაპირისპირებულ მხარესთან, რადგან მას სჭირდებოდა რეალური მომხრეები რეგიონში. მაგრამ მისი მიზნები და ორმაგი პოლიტიკა ნელ-ნელა აშკარავდებოდა. ორმაგი თამაში კი ორივე მხარისთვის მიუღებელი იყო.

მაშინ, როდესაც გარკვეული საფრთხე იგრძნო ებრაელებმა შეეცადნენ აშშ-ის მხარდაჭერა მოპოვებინათ, რადგან იცოდნენ რომ თუ ინგლისი საბოლოოდ არაბულ მხარეს დაუდგებოდა გვერდით, სიონისტური იდეების განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. დადგა ე.წ. „ბილტმორის პროგრამის“ განხორციელების აუცილებლობიაც, რომელიც გულისხმობდა ებრაული დასახლებების, და ებრაული მიწის შემქნას პალეტინის ტერიტორიაზე. [10]

[10] “Mandate for Palestine The Legal Aspects of Jewish Rights” -Eli E. Hertz P.1. https://www.mythsandfacts.org/conflict/mandate_for_palestine/mandate_for_palestine.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.06.2020)

არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და მკვეთრად გაუარესდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. მიზეზს რაც შეეხება, ამ ყოველივეს მიზეზი იყო ის, რომ სამანდატო პალესტინაში იზრდებოდა ევროპელი ებრაელების იმიგრაცია. უწყვეტ ებრაელთა იმიგრაციას ვერ ეგუებოდა არაბები და ცდილობნენ რაიმე გზა ენახათ, შეუქცევადი პროცესის სამართავად, ამიტომ მოხდა ამბოხება, რომელსაც შედეგად მოჰყვა დიდი ბრიტანული აჯანყებაც 1936-1939 წლებში.

1936-1939 წლებში არაბთა აჯანყება პალესტინაში, მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც "დიდი აჯანყება". არსებული შემთხვევა იყო ნაციონალისტური აჯანყება პალესტინელი არაბების მიერ ბრიტანეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელიც იყო მანდატის მფლობელი. ისინი მოითხოვდნენ პირველ რიგში არაბთა დამოუკიდებლობას, ასევე მოითხოვდნენ ებრაელთა დაუსრულებელი მიგრაციის შეზღუდვას და სურდათ იმ "ებრაელთა ეროვნული სახლის“ შემქნისათვის ებრაელთა მიერ მიწის შესყიდვების დასრულება.

1939 წლის მაისში დაძაბული მდგომარეობიდან გამომდინარე მალევე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნა მორიგი „თეთრი წიგნი“, რომლის შესაბამისადაც მათ მიზანს წარმოადგენდა 10 წლის შემდეგ დამოუკიდებელი და ერთიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა და კონკრეტული გეგმა მიზნად ისახავდა ებრაულთა იმიგრაციის შეზღუდვასაც. სწორედ ეს იყო ის მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი, რამაც დააკმაყოფილა არაბული მხარის ინტერესები და ამიტომ, ისინი მალევე დამშვიდნენ და შესაბამისად აჯანყებაც ჩაცხრა. ებრაული მხარისათვის კი „თეთრი წიგნი“ იყო მიუღებელი რადგან არ სურდათ რომ შეეზღუდათ ებრაული იმიგრაციისათვის დაწესებული შეზღუვების შესრულება. მიღებული რეგულაციების მიუხედავად გრძელდებოდა პალესტინაში ებრაელთა არალეგალური იმიგრაცია, რაც იწვევდა მათ დრო და დრო გაძლიერებას. მოსახლეობის რაოდენობა- იყო ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა მხარის სიძლიერეს. ანუ ის მხარე, რომელიც რეგიონში წარმოდგენილი იყო უმრავლესობით, ითვლებოდა უფრო ძლიერ მხარედ.

საბოლოოდ კი დიდმა ბრიტანეთმა 1947 წლის თებერვალში განაცხადა, რომ მანდატი პალესტინაზე და მისი ვალდებულებები, შეუსრულებადი გახდა არსებული რეალობის გათვალისწინებით. ქვეყანაში მდგომარეობა მოგვარების ნაცვლად ნელ-ნელა კიდევ უფრო უარესდებოდა.

გაერომ შექმნა UNSCOP (გაეროს სპეციალური პალესტინის კომიტეტი) 1947 წლის 15 მაისს, რომელშიც წარმოდგენილი იყო 11 ქვეყნის წარმომადგენელი. UNSCOP– მა ჩაატარა მოსმენები და დააკვირდა პალესტინაში არსებულ ვითარებას, შემდეგ კი გამოაქვეყნა მოხსენება 31 აგვისტოს. რეკომენდაცია იყო დამოუკიდებელი არაბული და ებრაული სახელმწიფოების შექმნა და იერუსალიმის მოთავსება საერთაშორისო ადმინისტრაციის პირობებში, ცალკე რეგიონად.

29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რეკომენდაციას უწევს გაყოფის გეგმის მიღებას და განხორციელებას. გაყოფის გეგმა ამოქმედდა ბრიტანეთის გაყვანის დღიდან. გეგმა ითხოვდა, რომ სახელმწიფოებში მინიჭებოდა სრული სამოქალაქო უფლებები ყველა იმ ადამიანს, რომლებიც იმყოფება კონკრეტული ტერიტორიის საზღვრებში, განურჩევლად რასისა, რელიგიისა თუ სქესისა.

ებრაულმა სააგენტომ, ებრაულმა სახელმწიფოებრივმა სტრუქტურამ, მიიღო გეგმა და პალესტინაში თითქმის ყველა ებრაელი გახარებული იყო არსებული მდგომარეობით. თუმცა ზოგიერთი ებრაული ორგანიზაცია წინააღმდეგი იყო ამ წინადადების მიღებაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ სამშობლოს დაყოფა უკანონოა და რომ არასდროს აღაირებენ დაყოფის გეგმას. ისინი აცხადებდნენ, რომ იერუსალიმი იყო და სამუდამოდ იქნება მათი დედაქალაქი. ერეს ისრაელი აღდგება ისრაელის ხალხში.

გეგმის შესაბამისად არაბული სახელმწიფო მოიცავდა დასავლეთ გალილეის ცენტრალურ ნაწილს, ქალაქ აკრას, სამარიისა და იუდეის გორაკის ტერიტორიას, ჯაფას და სამხრეთ სანაპიროებს რომელიც გადაჭიმული იყო ისდუდის (ამჟამად აშდოდის) ჩრდილოეთით და მოიცავს ახლა ღაზას ზონას.

ებრაული სახელმწიფო მოიცავდა ნაყოფიერ აღმოსავლეთ გალილეას, სანაპირო დაბლობს, რომელიც გადაჭიმული იყო ნეეგვის უდაბნოების უმეტესი ნაწილამდე.იერუსალიმის მოიცავდა ბეთლემს და მის მიმდებარე ტერიტორიებს

გააყოფის გეგმაზე პირდაპირი უარი თქვა პალესტინის არაბთა ხელმძღვანელობამ და არაბთა უმეტესობამ. 1947 წლის ნოემბერსა და დეკემბერში კაიროში გამართულ შეხვედრაზე არაბულმა ლიგამ მიიღო დადგენილებათა სერია, რომელიც მხარს უჭერს კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტას.

არაბული ქვეყნების ლიგამ, დაიწყო შესაბამისი მოქმედებების განხორციელება და მოხალისეთა ნაწილების ფორმირება. მდგომარეობა ნელ - ნელა კიდევ უფრო რთულდებოდა და შესაბამისად მიიღეს გადაწყვიტილება რომ შეეჩერებინათ პალესტინის გაყოფის რეზოლუციის ამოქმედება 1948 წლის 14 მაისს ებრაულმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ისრაელი დაირქვა. ამის შემდეგ კი არაბული ქვეყნების ლიგამ, რომელშიც შედიოდა ლიბანი, ერაყი, ეგვიპტე, სირია, ტრანსიორდანია) ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი დაიწყო. [11]

ისრაელის მიერ კიდევ უფრო გაფართოებული პოლიტიკა და სიონიზმის რასისტული გეგმები მიმართულია ყველა არაბული ქვეყნის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისაკენ, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. არცერთი არაბული ქვეყანა არ არის დაცული სიონიზმთან ბრძოლის საშიშროებისგან, თუ ის არ შეასრულებს თავის როლს და არ აგებს თავის პასუხისმგებლობას ისრაელის მტრის დაპირისპირებაში. [12]

---

[11] "The Partitioning of Palestine"- P.1. https://courses.lumenlearning.com/suny-hccc-worldhistory2/chapter/the-partitioning-of-palestine/ , (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.06.2020)

[12] Shlaim , Avi "the Iron wal : Israel and Arab World", New York London W.W. Norton and co (2000) P. 206

II თავი. ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სახელმწიფოს მიერ გამოწვეული კონფლიქტების გეოპოლიტიკა და ირანის პოზიცია

იქიდან გამომდინარე, რომ ისრაელს უწევდა რეგიონში თავის დამკიდრება, იგი ჩაება რამდენიმე კონფლიქტში. ტერიტორიული პრეტენზიები იყო ის უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რის გამოც ისრაელი ებრძვოდა რეგიონის სხვა სახელმწიფოებს. აქ რა თქმა უნდა იგულისხმება არაბული სახელმწიფოები, რომლებიც გამოდიოდნენ ისრაელის ტერიტორიული პრეტენზიების წინააღმდეგ. სწორედ ეს კონფლიქტებია განხილული მეორე თავში და აქვე დაფიქსირებულია ირანის პოზიცია მიმდინარე დაპირისპირებებში. იქიდან გამომდინარე, რომ ისრაელსა და ირანს, ირანის ისლამურ რევოლუციამდე ჰქონდათ საკმაოდ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები, ირანი ამ კონკრეტულ დაპირისპირებებში არ ერთვებოდა და ის განსაკუთრებით არ მოქმედებდა ისრაელის წინააღმდეგ. მსგავსი დამოკიდებულება გაგრძელდა მანამ , სანამ ირანის მმართველობის სათავეში მოვიდოდა აიათოლა ხომეინი, თავისი მკაცრი ანტისიონისტური პოლიტიკით.

2.1. ისრაელისა და ირანის დიპლომატიური ურთიერთობები ისლამურ რევოლუციამდე

ისრაელიმა განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიზანი იყო რეგიონში მტრულად განწყობილი მხარეების გაერთიანების თავიდან აცილება. მის მიერ განსაზღვრული პოლიტიკა ეხებოდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და ჩრდილოეთ აფრიკას, არამედ სხვა სახელმწიფოებსაც აფრიკის და აზიის კონტინენტებზე. შესაბამისად, თურქეთი, ირანი და ეთიოპია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო ისრაელისათვის.

როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ურთიერთობები დიდი ნავთობის ექსპორტიორებთან (მექსიკა, ირანი და ნიგერია) გადამწყვეტად მნიშვნელოვანი იყო იმ ქვეყნისთვის, რომელიც ენერგიის იმპორტზე არის დამოკიდებული. 1949-1956 წლებში ძირითადი ინტერესის სფერო ისრაელისათვის იყო აზიაში მიმდინარე მოვლენები. ამიტომ ამ პერიოდის განმავლობაში, ისრაელმა კავშირები ჩამოყალიბა ახლო აღმოსავლეთის პერიფერიაზე მდებარე სახელმწიფოებთან (თურქეთი და ირანი).

ისრაელსა და ირანს შორის ურთიერთობა 1948 წლიდან, ებრაული სახელმწიფოს დაარსების დღიდან იყო საკმაოდ კომპლექსური. ირანის როგორც არაბული, არა-სუნიტური სახელმწიფოს რთული ფუნქცია იყო, გადაჭარბებულ სუნიტურ გარემოში თავისი მკვეთრი პოზიციის დამყარება. ამ ყოველივემ განაპირობა გარკვეულწილად ირანისა და ისრაელის დაახლოება ამ უკანასკნელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთანავე. ირანმა კარგად იცოდა, რომ არაბული სამყარო ვერ შეურიგდებოდა ისრაელი სახემწიფოს არსებობას და ირანს კარგი შესაძლებლობა მიეცემოდა მის გარემომცველ არაბულ სამყაროს დასუსტებაში გარკვეული წვლილი შეეტანა. მას სჭირდებოდა სათანადო ურთიერთობები მის არაბულ და სუნიტ მეზობლებთან ირანის რეგიონალური ხელმძღვანელობის მისწრაფებების განხორციელების მიზნით.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ისრაელთან სამხედრო და სადაზვერვო თანამშრომლობა საჭიროდ იქნა მიჩნეული ირანის გეო-სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საფრთხეების დაბალანსება, რომელიც ირანელ არაბულ მეზობლებთან იუდეველთა კავშირთან არის დაკავშირებული. ეს ყოველივე აფერხებდა ირანის მეორე მიზნის მიღწევას, რომელშიც იგუსლიხმებოდა გრძელვადიანი უსაფრთხოების მიღწევა არაბულ/სუნიტურ სახელმწიფოებს შორის, ირანის უზენაესობისაკენ სწრაფვის ლეგიტიმურობის მოპოვებისთვის.

ეხლა კი განვიხილოთ დეტალურად მათ შორის ურთიერთობა . მოჰამად რეზა ფეჰლევის რეჟიმის დროს და განსაკუთრებით 1960-იანი წლების შემდეგ,

ისრაელი და ირანი მჭიდრო კავშირებით სარგებლობდნენ, რის შედეგადაც მოხდა არაფორმალური სტრატეგიული ალიანსის შექმნა. მანამ სანამ ფეჰლევი ცდილობდა რომ მჭიდრო კავშირი დაემყარებია დასავლეთთან და მიიწევდა მოდერნიზაციისკენ, იგი ისრაელში ხედავდა რეალურ მოკავშირეს.

შაჰს ასევე სჯეროდა, რომ ისრაელთან ურთიერთობის საშუალებით, ირანი სარგებელს მიიღებდა შეერთებულ შტატებში მცხოვრები ამერიკელი ებრაელებისგან. ის ასევე ელოდა, აშშ-ს კონგრესის, მედიის, ბიზნესისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერას. ამის შემდეგ ირანმა თავისი არაბული მეზობლების მხრიდან საფრთხე იგრძნო. მაგალითად, ეგვიპტე და ერაყი, ისინი ისრაელის და ირანის საერთო მოწინააღმდეგეები იყვნენ.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანთან ისრაელის პირველადი კონტაქტები ეხებოდა ისრაელის ირანელ მოსახლეობას და ირანის ებრაელ მოსახლეობას. 1949 წელს, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სთხოვა გაეროს მისიის ხელმძღვანელს, აბბა ებბანს მოლაპარაკებების დაწყება ირანის ელჩთან, ნაირ-ალაჰ ენთემთან. ამით მან გამოხატა კეთილი ნება ირანისადმი. 1949 წლის ბოლოს, შაჰის აშშ-ში ელჩობისას განიხილებოდა ისრაელის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი. თურქეთის მიერ ისრაელის აღიარებამ 1949 წლის სექტემბერში, უფრო მიმზიდველი და ამავდროულად შესაძლო გახადა ირანის მიერ ისრაელის აღიარებაც. ასევე ამ ორ ქვეყანას შორის ისრაელის მხრიდან ხაზი გაესვა ირანის ფინანსურ სარგებელს, რადგან ისრაელი ირანს მიაწვდიდა იმ ნედლეულს, რომელიც საჭირო იყო იმპორტისთვის. გარდა ამისა განხორციელდა თავისებური სქემა, რომ დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანი თანხა გადაეხადათ, რათა დახმარებოდნენ აღიარების დაჩქარებას.

მალევე ისრაელიის დამოუკიდებლობა ირანმა აღიარა, ეს კი მოხდა 1951 წლის 7 ივლისს, ძალაუფლების მიღებიდან მალევე. მოჰამედ მოსადეყის მთავრობამ "ფინანსური სირთულეების" გამო დახურა იერუსალიმის საკონსულო, მაგრამ არ გააუქმა დე ფაქტო აღიარება. ორ ქვეყანას შორის

ეკონომიკური თანამშრომლობა გაგრძელდა და ირანმა შესთავაზა ისრაელს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, სამრეწველო საქონლის, სამედიცინო აღჭურვილობისა და დამატებითი ტექნიკური დახმარების შემოტანის სანაცვლოდ.

მოსადეყის ხელისუფლების დაცემის შემდეგ ანუ 1953 წლის გადატრიალების შედეგად, გაბატონებულმა ცივმა ომმა და რეგიონულმა დაძაბულობამ ხელი შეუწყო ირან-ისრაელის ურთიერთობების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ეს ორი ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. 1955 წელს ბაღდადის პაქტმა, რომლის წევრიც ირანი გახდა ასევე უზრუნველყო ირანის უსაფრთხოება, რომელიც მას სჭირდებოდა თავისი რეგიონალური მიზნების მისაღწევად. ისრაელი კარგად მოერგო იმ მიზნებს რომელიც დასახულ იქნა სხვადა სხვა სახელმწიფოს მიერ. მას შეეძლო დახმარებოდა ირანს მისი ეკონომიკური პროგრამების განხორციელებაში. გარდა ამისა მას შეეძლო დააბალანსებინა ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის ალიანსი და უზრუველყო შეერთებულ შტატებთან ირანის კავშირების განმტკიცება.

1960-იანი წლების დასაწყისის მოვლენების კულმინაციამ მნიშვნელოვანი კავშირების შექმნა გამოიწვია ისრაელსა და ირანს შორის. შაჰმა, რომელმაც დაიწყო თავისი კარიერა, როგორც უბრალო პოლიტიკური მოღვაწე უხეშად ჩაერია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში და წარმოიშვა, როგორც აბსოლუტური მონარქი უზენაესი ძალებით. მისი იდეოლოგია, რომელიც ემყარებოდა ვესტერნიზაციას, სეკულარიზაციას, ნაციონალიზმს და დასავლეთთან დაახლოებას, საშუალებას აძლევდა ქვეყანას უფრო და უფრო გაზრდილიყო ამ ქვეყნის ისრაელთან თანამშრომლობა. ასევე აშკარაა, რომ მისი მჭიდრო კავშირები ისრაელთან გამომდინარეობდა მსოფლიო ებრაელთა ძალის გაზრდით. 1967 წლის შემდეგ, შაჰმა შეძლო გაეფართოვებინა ურთიერთობები ისრაელთან ნაკლები შფოთითა და შტატების მხარდაჭერით.

ჯერ კიდევ ისლამურ რევოლუციამდე ირანის შეიარაღებული ძალების უმრავლესობა ამერიკული ან ევროპული იყო. მაგრამ, რევოლუციის შემდეგ

განვითარებული მოვლენების გამო ჩაიშალა მცდელობა, რომელიც გულისხმობდა ირანის მიერ რაკეტების ერთობლივ წარმოებას ისრაელთან ერთად. ისლამური ხელისუფლების მიერ გამოცხადდა ისრალი და ერაყი ირანის ძირითად მტრებად, ამ ყოველივემ კი ირანი აიძულა, რომ დაეწყო სამხედრო წარმოება თავის ქვეყანაში.

საჭირო გახდა სამხედრო მრეწველობის რეორგანიზაცია, ამიტომ შეიქმნა „ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსი“- რომელსაც დაევალა ამ პრობლემის მოგვარება. ამ პროცესების შემდეგ ირანი აკმაყოფილებდა მხოლოდ საკუთარი არმიის საჭიროებასა და მოთხოვნილებას. აწარმებდა როგორც ტანკებს ისე ჯავშანტექნიკას, ბალისტიკურ რაკეტებს, წყალქვეშა ნავებს. მან ასევე წარადგინა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნამუშევარი-ავაიაგამანდგურებელი „ქოუსარი“. გარდა ამისა, „ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის“ შეიარაღებაში შედიოდა „შაჰაბ-3“-რომელიც იყო ორსაფეხურიანი რაკეტა და დამზადებული იყო ირანში. ამას გარდა ქვეყანა ზრუნავდა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების შექმნაზეც. ეს ყოველივე კი გათვლილი იყო იმისთვის, რომ არსებულ შეირაღებას საფრთხე შეექმნა ინდოეთის ოკიანის ჩრდილოეთ ნაწილშო შესული უცხო ქვეყნის ავიამზიდებისათვის.

თანამედროვე ახალ სამხედრო ტექნიკას დასავლეთში ირანი ვერ ყიდულობდა, ამ ყოველივეს კრძალავდა აშშ-ს ადმინისტრაცია, მიზეზი კი იყო ის, რომ ირანი 2006-2015 წლებში იმყოფებოდა სანქციების ქვეშ. ამ ყოველივეთი რუსეთმა ისარგებლა და განაახლა კონტაქტები ირანთნ, 2018 წელს კი საჭირო ინვენტარით უზრუნველყო.

ახალი რეალობები განიხილებოდა, როგორც ისრაელისთვის ოქროს შესაძლებლობა, ხელი შეეწყო მისი ეკონომიკურ ინტერესებისათვის და სტრატეგიული სქემებისათვის.

1960-იანი წლების დასაწყისიდან კავშირების გაძლიერება შეესაბამებოდა ბენ-გურიონის ”პერიფერიული კონცეფციას” ან ისრაელის და ირანის, თურქეთის და ეთიოპიის ალიანსს. იმ პერიოდისათვის ირანი ისრაელისათვის

აღიქმებოდა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქვეყანა, მისი სტრატეგიული მდებარეობის, ზომისა და ეკონომიკური პოტენციალის გამო; „ ეს არის მუსლიმური (მაგრამ არა არაბული) სახელმწიფო და არ გააჩნია აშკარა მიზეზი ისრაელთან კონფლიქტისთვის“ ფიქრობდნე ისრაელში .მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობის ზუსტი მოცულობა და დონე გაურკვეველი დარჩა, ისინი ყველაზე ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი იყო 1960-70-იან წლებში. ისრაელმა გაწვრთნა ირანელი სტუდენტები და ოფიცრები. მან ასევე გაგზავნა ექსპერტები სხვადასხვა დარგებში (სოფლის მეურნეობის განვითარება და მოდერნიზაცია, სამედიცინო მომსახურება, წყლის რესურსების გამოკვლევა, გზის საფარის მოწყობა და რეკონსტრუქცია). შაჰის მმართველობის ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩატარებული კვლევებისა და დაკვირვებების შედეგად ამტკიცებდნენ , რომ შეიმჩნეოდა ირანში მოქმედი წამყვანი ისრაელის ფირმების მრავალი წარმომადგენელი.

1958-67 წლებში, სანამ ისრაელი ხელს უწყობდა ირანის შეიარაღებული ძალების განვითარებას, ირანმა დააჩქარა ისრაელისთვის ნედლი ნავთობის მიყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ნავთობსადენებით ნავთობის გადატანას, განხილული იყო ადრე, 1967 წელს სუეცის არხის დახურვის შემდეგ, ირანმა და ისრაელმა მოლაპარაკება დაიწყეს ახალი მილსადენის მშენებლობის შესახებაც. ეს მილსადენი თავდაპირველად ყოველწლიურად ათ მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს გადაიტანდა, რაც აღემატება ისრაელის წლიურ მოხმარებას.

1970-იანი წლების დასაწყისში, რეგიონალურში სხვადასხვა კონფლიქტების განვითარება საფრთხეს უქმნიდა მათ „აყვავებულ“ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელსა და ირანს შორის სრული „დიპლიმატიური ურთიერთობა“ არ არსებობდა, ებრაელი დიპლომატები დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდნენ, ისეთივეთი, როგორიც აშშ-ს დიპლომატია.

მეგობრობის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ანტი-ისრაული დამოკიდებულებები მაინც ჭარბობდა. მათ ყოველთვის საპატიო ადგილი ეჭირათ ირანში. განსაკუთრებით სასულიერო პირთა და ანტი-მონარქიულ და ანტიდასავლურ ელემენტებს შორის. მათ შორის კი ყველაზე გამორჩეული იყო აიათოლა ხომეინი, რომელმაც 1963 წლის 3 ივნისის გამოსვლაში აღნიშნა: „ისრაელს სურს დაიკავოს თქვენი ეკონომიკა, გაანადგუროს თქვენი ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა, შეაჩეროს თქვენი სიმდიდრე“1971 წელს მოწვეული ჰაჯიჯის მომლოცველებს, აიათოლა ხომეინი ასახავდა ისრაელს, როგორც ”ისლამისა და მუსლიმების საყოველთაოდ აღიარებულ მტრად აცხადებდა, რომელმაც ”შეაღწია ირანის ყველა ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ საქმეებში”, ქვეყანა იქცა ”სამხედრო ბაზად ისრაელისთვის” და დამატებით ამერიკისათვის.

სანამ შაჰი ქვეყნის მმართველობის სათავეში იყო ისრაელთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების მიზნით, ზიზღი დიდწილად უგულებელყო, მაგრამ აიათოლა ხომეინის ამოქმედება მიანიშნებს იმ ალიანსის შეწყვეტაზე, რომელიც გრძელდებოდა ორი ათწლეულის განმავლობაში ირანსა და ისრაელს შორის.

1979 წლამდე თეირანმა მიუხედავად შიიტი სამღვდელოებისა და მათი ლიდერის ხომეინის მკვეთრი ანტისიონისტური გამოსვლებისა მაინც შეინარჩუნა საიდუმლო ურთიერთობები ისრაელთან სამხედრო, სადაზვერვო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. მათ შორის, ნავთობის მომარაგების ჩათვლით, მაგრამ შიიტი სამღვდელოები ანტიებრაული განწყობის გამო ირანის მონარქთან გაურბოდა ოფიციალურ და სრულფასოვან კავშირებს.[13]

[13] Borovoy,Yacov ,Nina Mamedova & Mikhail Nosov.”Iran and its neighbours” Moscow foundation-East-westers bridges-(2003) pp. 202-207

2.2. ისრაელის ტერიტორიული პრეტენზიებით გამოწვეული კონფლიქტები რეგიონში და ირანის დამოკიდებულება ამ კონფლიქტებისადმი

თავდაპირველად აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ ბევრ სხვა მიზეზებთან ერთად რეგიონში პრობლემების და შესაბამისად კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი ტერიტორია იყო. ბევრი ასეთი ტიპის კონფლიქტი ახლოვს ისტორიას, რომელიც აღმოსავლეთის რეგიონში დაძაბულობას ზრდიდა. მათ შორისაა კონფლიქტები ისრაელსა და „პალესტინის ტერიტორიებს“ შორის, კონფლიქტი 1948 წლიდან დაიწყო, მას მერე რაც შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო.

კონფლიქტის გაღრმავების მიზეზებს რაც შეეხება, გაეროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მანდატი პალესტინის ტერიტორიაზე გაუქმდა და ამით დადგინდა ორი სახელმწიფოს შექმნა, ისრაელისა და პალესტინის. ეს ყოველივე პირველ რიგში მიუღებელი იყო არაბებისთის. ისინი თვლიდნენ, რომ არაბული ქვეყნის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს შექმდა მათთვის მიუღებელი და ამავდროულად შეუძლებელიც იყო. სწორედ ამ მიზით 1948 წელს, არაბულმა ქვეყნებმა თავიანთი რეგულარული ჯარების მეშვეობით გადაკვეთეს ისრაელის საზღვარი და შეუტიეს მას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯარებში ერთიანდებოდა იორდანიის, ლიბანის, სირიის ეგვიპტისა და პალესტინის არმია. ეს იყო პირველი ომი რომელიც გაგრძელდა წელიწადი და სამი თვე. საბოლოოდ, კი ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტას, თვითონ ომი ისრაელის გამარჯვებით დასრულდა.

ომი არაბებს - 300 მლნ აშშ დოლარი დაუჯდა ისრაელს კი დაახლოებით 500 მლნ აშშ დოლარი. ომის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით არასასურველი იყო არაბებისათვის. მიუხედავდ იმისა, რომ გაერო-მ მიიღო გადაწყვეტილება, პალესტინის ტერიტორიაზე არაბული სახელმწიფო არ შექმნილა. ანუ გამოვიდა ისე, რომ ისრაელმა მოახდინა პალესტინის ტერიტორიის დაახლოებით 77 %-ის ოკუპაცია, ასევე მან მიიღო იერუსალიმის დიდი ნაწილი, დანარჩენი ტერიტორია კი წილად ხვდა ეგვიპტესა და

იორდანიას. ომის შედეგად, ისრაელის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა[14]. აღმოსავლეთ იერუსალიმი იმის გამო, რომ იქ დასახლდა ებრალთა მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა მთლიანად ებრაული.

როგორც უკვე აღვნიშნე, არაბული ქვეყნები ვერ ურიგდებოდნენ პალესტინაში ებარაელთა სახელმწიფოს შექმნას, რადგანაც ამ ტერიტორიაზე არსებობს მუსლიმთა წმინდა ადგილებიც. მუსლიმურ ქვეყნებში არაბულთან ერთად არა არაბული ქვეყნებიც არიან წარმოდგენილი, მათ შორისაა ირანიც. უნდა აღინიშნის, რომ მაშინდელი ირანის ხელისუფლებას არც კი უცდია აღნიშნულ კონფლიქტში ჩართვა, იმისდა მიუხედავად რომ მუსლიმთა წმინდა ადგილები მათთვისაც სიწმინდეს წარმოადგენს და უპირობოდ მნიშვნელოვანია მათთვისაც. პირიქით ირანმა დიპლომატიური ურთიერთობა მალე დაამყარა ახლად შექმნილ ისრალის სახელმწიფოსთან. რაზეც მომდევნი ქვეთავში გვექნება საუბარი.

თუმცა ეს არ ყოფილა ბოლო და უკანასკნელი დაპირისპირება, შემდეგი უთანხლოება არაბულ სამყაროს და ისრაელსა შორის 1956 წელს მოხდა, მაშინ როდესაც ისრაელის მხარე თავს დაესხა ეგვიპტეს. საბოლოოდ, კი ეს ქმედებები დასრულდა ხელშეკრულების დადებით, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუმცა არსებული დაპირისპირება და კონფლიქტი ბოლომდე არ დაუსრულებია. ამ ყველაფერმა სიტუაცია მაინც ვერ დააწყნარა.[15]

ხსენებული დაპირისპირება, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მოხდა 1956 წელს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, როგორც უკვე აღვნიშნე ეგვიპტესტან იყო დაკავშირებული. ამ კონკრეტულ შეჯახებას ჰქონდა არამარტო პოლიტიკური, არამედ სამხედრო ხასიათი. მაგრამ ამ კონკრეტულ დაპირისპირებას ჰქონდა მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნები, რომლითაც შეგვიძლია ის განვაცალკევოთ რეგიონში სხვა კონფლიქტებისაგან და რომელიც არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის მიმდიანრეობდა. ამ

[14] Bregman, A. "Israel's Wars, 1947-1993". London and New York: Routledge.(2000). Pp. 78-90

[15] Morris, Benny. "Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-1999". New-York:Alfred Knopf,(1999) P. 59-61

დაპირისპირებაში ამ ორი მხარის გარდა მონაწილეობდა სხვა ევროპული ქვეყნები, კონკრეტულად კი საფრანგეთი და ინგლისი თავიანთი სამხედრო ძალებით. საფრანგეთს და ინგლისს ჰქონდა თავიანთი ინტერესები რეგიონში და მაღ პირველ რიგში უნდოდათ „სუეცის საკითხის“ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მოგვარება. ამიტომ მათ არ დააყოვნეს და მალევე ეგიპტის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებების მომზადება და განხორციელება დაიწყეს. ისრაელი კი შეუერთდა ინგლისურ-ფრანგულ გაერთიანებას, ამ ყოველივეს კი შედეგად მოყვა ის, რომ ეგვიპტემ დაბლოკა ისრაელის გემებისათვის ტირანის სრუტე და ასევე აიკრძალა გემების გატარება, რომლებსაც ტვირთი გადაჰქონდათ ისრაელში .

გაერო-სთვის უკვე მიუღებელი იყო ის ქმედებები, რომელსაც ისრაელი ანხორციელებდა. ამ ყოველივეს მოსაგვარებლად კი უშიშროების საბჭოში საუბარი იყო იმაზე, რომ აუცილებელი იყო კონკრეტული ზომების მიღება იმ აგრესიის აღსაკვეთად, რომელსაც ანხორციელებდა ისრაელი. გარდა ამისა აქვე საუბარი იყო იმაზეც, რომ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი იყო ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის არმიის გაყვანა. არსებული ვითარების მოგვარება და შესაბამისად ამ რეზოლუციის მიღება წარმოადგენდა სსრკ-ს და აშშ-ს სურვილს, თუმცა სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა ინგლისსა და საფრანგეთს. საფრანგეთმა და ინგლისმა დაბლოკეს წინადადება ვეტოთი და მათ დაიწყეს სამხედრო მოქმედებების განხორციელება ეგვიპტის წინააღმდეგ[16] . ისრაელის მხარემ თანდათან თავისი არმიით დატოვა ეგვიპტის ტერიტორია, თუმცა ამ ყოველივეს პირველ რიგში ის ანხორციელებდა იმ მიზეზით რომ სექტორში კვლავ წარმოდგენილი იქნებოდა გაერო-ს ძალები. გარდა ამისა, ისრაულ მხარეს მას რჩებოდა შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში განეხორციელებინა კონკრეტული მოქმედებები.

[16] Felton, J. “The Contemporary Middle East: a Documentary History”. New York: SQ Press. (2008). Pp. 87- 89

1967 წელს კიდევ ქონდა ადგილი უთანხმოებას თუმცა, ამ დროისთვის ებრაეული მხარე იყო საკმაოდ საშიში, თუ გავითვალისწინებთ მის გაზრდილ შესაძლებლობებს, მათ შორის სამხედრო სფეროშიც. საუბარია ექვსდღიან ომზე. ომმა პირველ რიგში შეცვალა რეგიონში არსებული გეოპოლტიკური მდგომარეობა. ექვსდღიანი ომი კი დასრულდა იმით, რომ ისრაელის მხარემ გაიმარჯვა, შესაბამისად საგრძნობლად გაფართოვდა მისი ტერიტორია. ომის შემდეგ მის ტერიტორიაში შედიოდა ღაზას სექტორი, სინას ნახევარკუნძული, სირიის გოლანის მაღლობების მიმდებარე ტერიტორიები და მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე არსებული ტერიტორიები. გარდა ამისა მნიშვნელოვანი იყო კონტროლის დამყარება იერუსალიმის ტერიტორიაზეც, იერუსალიმის მნიშვნელობიდან გამომდინარე. უფრო კონკრეტულად კი ამ ყოველივეს მიზეზი იყო ის, რომ ისრაელმა ომის დამთავრებისთანავე მიისაკუთრა აღმოსავლეთ იერუსალიმი, რის შედეგადაც მალევე იგი გამოაცხადა ისრაელის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად.

შესაბამისად ირანი არც ამ კონფლიქტებში ჩარეულა, რადგან მას უკვე დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ისრაელთან და თანამშრომლობდნენ სხვადასხვა სფეროებში. აქიდან გამომდინარე აღნიშნული კონფლიქტები მხოლოდ ისრაელ არაბულ ქვეყნებს შორის კონფლიქტად დარჩა.

მოკლედ უნდა განვიხილოთ „მომქანცველი ომი“, იგი დაიწყო 1969 წლის მარტში.ხსენებული დაპირისპირება დაიწყო ეგვიპტემ რადგან მას სურდა სინას ნახევარკუნძულის დაბრუნება, რომელიც იმ დროისთვის ოკუპირებული იყო ისრაელის მიერ. მალევე 1970 წელს აშშ-მა ე.წ „როჯერსის გეგმა“ წამოაყენა. გეგმა პირველ რიგში ითვალისწინებდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მშვიდობის დამყარებას და ამ ყოველივეს განსახორციელებლად საჭიროდ თვლიდნენ მოლაპარაკებების დაწყებას საბოლოო კონსენსუსის მიღწევის მიზნით. გეგმით გათვალისწინებული პირობები მისაღები იყო ეგვიპტისა და იორდანიისთათვის სწორედ ამიტომ დათანხმდენ ისინი შემოთავაზებას და ამავდროულად გამოთქვამდნენ მზადყოფნას „როჯერსის გეგმის“ მისაღებად. მაგრამ არსებულ პირობებს ეწინააღმდეგებოდა ისრაელი და ამიტომ უარი

განაცხადა მის მიღებაზე.თუმცა საბოლოოდ 1970 წლის 7 აგვისტოს მხარეებმა ხელი მოეწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტაზე და შესაბამისად დასრულდა კონფლიქტის ეს ტალღა.

არაბული კონფლიქტი კვლავ გრძელდებოდა, რადგანაც ჩვენი თემის მიზეზს ამ კონფლიქტის დაწვრილებით განხულვა არ წარმოადგენს ამიტომ მას ვაშუქებთ ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე.

ახლა კი მოკლედ განვიხილოთ 1973 წლის იომ-ქიფურის ომი, რომელიც იყო ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის მეოთხე დაპირისპირება. სირია და ეგვიპტე არა გაერთიანებული ძალებით, თუმცა ერთდროულად თავს დაესხნენ ისრაელის მხარეს, მათ ეს თავდასხმა განახორციელეს, მაშინ როცა ებრაელები აღნიშნავდნენ მათთვის ერთ-ერთ მთავარ რელიგიურ დღესასწაულს - იომ-ქიფურს. ამ შემთვევაშიც ისევე როგორც ადრე, შეძლო ებრაელებმა მოწინააღმდეგეების მოგერიება. ეს ყოველივე კი კიდევ უფრო გაამარტივა დაპირისპირებაში აშშ-ს ჩართვამ, საბოლოოდ დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. იგი დაიდო სამივე მხარის მონაწილეობით, როგორც ისრაელ-ეგვიპტეს ისე ისრაელ-სირიასა შორის.

ამ ომშიც კი ირანი განზე იდგა. იმ პერიოდში ირანში არცთ თუ სტაბილური შიდაპოლიტიკური ვითარება იყო. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან უკვე ქვეყანაში გააქტიურდა შიიტური ოპოზიცია, რომელიც შაჰის რეჟიმს უპირისპირდებოდა. ჯერ კიდევ ურთიერთობა ისრაელსა და ირანს შორის სტაბილურობას ინარჩუნებდა.

1978 წლის 17 სექტემბერს პრეზიდენტ კარტერის შუამავლობით აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია კემპ-დევიდში ბეგინმა და სადათმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათს, საუბარია კემპ-დევიდის შეთანხმებაზე. აშშ-ს ჩარევით 1979 წელს დასრულდა დაპირისპირება ესრაელსა და ერთ-ერთ არაბულ ქვეყანა-ეგვიპტეს შორის და ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას კემპდევიდში. სწორედ ამ ყოველოვეს შემდეგ დამყარდა როგორც ეკონომიკური ისე დიპლომატიური და სხვა სახის კავშირები.თუმდა კემპ-დევიდის შეთანხმებით

ისრაელმა აიღო ვალდებულება, რომ დაებრუნებინა სინაის ნახევარკუნძული. შეთანხმების მიღწევის გამო ეგვიპტე იყო პირველი არაბული ქვეყანა , რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დააყარა ისრაელთან.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დაპირისპირებს, რომელიც ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა წლების განმავლობაში ისრაელის ტერიტორია გაზარდა. უკვე კემპ დევიდის შეთანხმების პერიოდში ისრაელში მოხდა ისლამური რევოლუცია, რითაც დასრულდა ირან ისრალის დიპლომატიური ურთიერთობა. ამ ორ ქეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე არ არმდგარა და ისინი კვლავ დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ რეგიონში.

2.3. ისლამური რევოლუციით გამოწვეული ირანის შიიტი სამღვდელოების ანტისიონისტური განწყობა

ისლამური რევოლუციური მოძრაობის შედეგად განდიდებულმა შიიტურმა ისლამმა დაინახა, რომ მეცნიერთა როლი მუდმივად და უწყვეტად იზრდებოდა თავისი ისტორიის განმავლობაში, მანამ სანამ ნამდვილი იერარქია შეიქმნებოდა XIX საუკუნიდან და შემდეგ.

დასაწყისში უნდა აღვნიშნოთ, ის რომ სასულიერო პირებმა პირველ რიგში თავი გამოიჩინეს ძლიერ პოლიტიკურ ძალად, რომელიც ირანის მონარქს დაუპირისპირდა. ეს პროცესი დაიწყო 1891 წლის „თამბაქოს საპროტესტო ბოიკოტით“. ამ შემთხვევამ ეფექტურად დაახევინა შაჰს უკან და მის მიერ მიცემული პირობა, რომელიც ბრიტანულ კომპანიას აძლევდა მონოპოლიას ირანში თამბაქოს შეძენისა და გაყიდვის შესახებ უკან წააღებინა.

მეოცე საუკუნის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, ირანის რევოლუციამდე შიიტური სამღვდელოება თითქმის ერთხმად ჩუმად დარჩა, თუნდაც ისეთი მტერის წინააღმდეგ რომელიც არაპირდაპირად ფლობდა სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას. სწორედ ასეთი იყო ანტისამღვდელოებრივი

ქმედებები შაჰი რეზას მიერ 1920 და 1930 -იან წლებში. შიიტური სამღვდელოება კვალავ გააქტიურდა ირანის პოლიტიკაში გასული საუკუნის 50- იანი წლების ბოლოს, განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩეოდა აიათოლა რუჰოლა ხომეინი.

შიიტი სასულიერო პირი აიათოლა რუჰოლა ხომეინი, პირველად პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებულად გამოჩნდა 1963 წელს, როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია შაჰს და მისი რეფორმების პროგრამას, სახელწოდებით "თეთრი რევოლუცია", რომელიც მიზნად ისახავდა მიწის ნაკვეთების ჩამორთმევას შიიტი სასულიერო პირებისათვის. ასევე შიიტი სამღვდელოება მკვეთრი კრიტიკით გამოდიოდა არჩევნებში ქალებს ხმის მიცემის წინააღმდეგ. გარდა ამისა მათ არ სურდათ, რომ რელიგიური უმცირესობებს დაეკავებინათ ოფისები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელი პოლიტიკურად გააქტიურებული შიიტური სამღვდელოება ხაზს არ უსვამდა ირანის საგარეო პოლიტიკურ კურსს და არ გამოთქვამდა უკმაყოფილებას ისრაელის სახელმწიფოს მიმართ.

ეხლა კი მოკლედ ვისაუბროთ შიიტ სამღვდელოებაზე. მაშინ როდესაც შაჰმა აირჩია ქვეყნის მოდერნიზაცია და მაქსიმალური ცენტრალიზაცია, სამღვდელოებამ თანდათანობით გაიხსენა თავისი მივიწყებული როლი- ისინი იყვნენ ხალხის ინტერესების ერთადერთი გამომხატველი ტირანული ხელისუფლებისა და ანტიისლამური გავლენის წინააღმდეგ. დაპირისპირება შაჰსა და სამღვდელოებას შორის ისევ და ისევ რეფორმებმა გამოიწვია. პირველი მიზეზი მათ შორის უთანხმოებისა იყო - აიათოლა ბორუჯერდის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრის საკითხი. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ძალაუფლების ძიებამ თვით სამღვდელოების შიგნითაც წარმოშვა მეტოქეობა. მიუხედავად სამღვდელოების წინააღმდეგობისა, მთავრობა აგრძელებდა სამზადისს 1963 წ. შაჰის მიერ საერთო-სახალხო რეფერენდუმისათვის, რომელზეც უნდა გამოსულიყო 6 ძირითადი კანონპროექტი. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო აგრარული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილი მიწათმფლობელების ლიკვიდაციას. ასევე ამ კანონპროექტში საუბარი იყო ქალების უფლების გათანაბრებაზე კაცებთან

,საგანმანათლებლო კორპუსის შექმნაზე, ტყეების ნაცონალიზაციაზე და მუშათა მონაწილეობაზე საწარმოთა შემოსავლებში.

ისტორიულად ულემები შეადგენდნენ ირანის ტრადიციული სახემწიფოს ელიტის ნაწილს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ულემთა ოპოზიციურ როლს საკმაოდ შემოსაზღვრული ჩარჩოები გააჩნდა, ულემები არ მოითხოვდნენ საზოგადოების სტრუქტურულ ცვლილებებსა და შესაბამისად ამ მიმართულებით აგიტაციას არ ეწეოდნენ. ოპოზიციონერი ულემები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულიი პოლიტიკურ პროცესებში, უპირველესად მოითხოვდნენ რელიგიის როლის გაზრდას და არა მმართველობისა ფორმისა და ხასიათის შეცვლას.

ისრაელის თვალსაზრისით, 1953-დან 1978 წლამდე პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ოქროს პერიოდად ირან-ისრაელის ურთიერთობებში. შიიტ სასულიერო პირთა დამოკიდებულება დათბა და ურთიერთობები ებრაულ სახელმწიფოსთან დაიწყო. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სასულიერო პირების ხელშია ებრაელების მდგომარეობის განსაზღვრა, ან ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ამ ყოველივეს ისრაელისთვის უარყოფითი შედეგი უნდა მოეტანა.[17]

ირანში რევოლუციის შედეგად დასრულდა შაჰის რეჟიმი და საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოს არსებობას ახლო აღმოსავლეთში, რომელშიც შერწყმულია ისლამურ-შიიტური სამართლებრივი კონცეფციები თანამედროვე სახელმწიფოებრივი მოწყობის ელემენტებთან. მონარქის წინააღმდეგ ბრძოლაში, შიიტური პოლიტიკური ტრადიციების თანახმად, აქტიურად მონაწილეობდა ირანის მუსლიმური სამღვდელოება. ამის უმთავრესი მიზეზი იყო, ის რომ ირანის უკანასკნელი შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი მკაცრად ზღუდავდა მუსლიმ ღვთისმსახურთა საქმიანობას და კონტროლს აწესებდა შიიტური ორგანიზაციების საქმიანობაზე. ამიტომაც იყო, რომ 70-იან წლების შუა ხანებიდან შიიტური სასულიერო ფენა ირანში ერთ-

[17] BENGIO O. “Do Iranian Clerics Dream of Eliminating Israel? “September 24, (2015) P. 15

ერთი ლეგალური ოპოზიციური ძალა გახდა, რომელმაც თავისი დაწესებულებები-მედრესეები, წმინდა იმამების აკლდამები და მეჩეთები შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად აქცია. რევოლუციის ლიდერის ხომეინის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თეოკრატიის, რელიგიისა და პოლიტიკის განუყოფელობას, საერო და სასულიერო საწყისების ერთიანობის საკითხს. თავის სტატიაში უილიამ ბარმანი აღნიშნავს ხაზგასმით, რომ რევოლუციის მსვლელობასა და მისიმმართველობის 10 წელიწადში „ხომეინიმ გააქარწყლა დასავლეთის მტკიცება იმის შესახებ, რომ, რადგან მსოფლიოს სიტუაციებს, მხოლოდ პოლიტიკა და სამხედრო ძალაუფლება განსაზღვრავს, რელიგიას არ ძალუძს მართოს თანამედროვე საზოგადოება“. ხომეინისათვის მიუღებელი იყო როგორც დასავლეთი, ისე კომუნისტური სისტემა.

ხომეინი აღნიშნავს:“თუკი ახალგაზრდობა გააცნობიერებს ისლამური მმართველობის მიზნებს...ტირანული და კოლონიური სახელმწიფოების საყრდენი-მცდარი კომუნისტური და მისი მსგავსი სკოლები, ავტომატურად დაემხობიან“. ამ მხრივ საინტერესოა ხომეინის გამონათქვამი დასავლეთის შესახებ: „ამერიკა ინგლისზე უარესია, ინგლისი-ამერიკაზე უარესი, რუსეთი ორივე მათგანზე უარესი და თითოეული მათგანი დანარჩენებზე უარესი. იგივე აზრს ითვალისიწნებდა მისი სხვა შიიტი მიმდევრები.

ხომეინი გამოირჩეოდა აშშ-ს საწინააღმდეგო გამოსვლებითაც .ის აცხადებდა შემდეგს-„ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ირანისა და ისლამური სამყაროს ყველა პრობლემა მომდინარეობდა ამერიკიდან“

ისლამური სამყაროს ერთ-ერთ უმთავრეს მტერს ხომეინისათვის ისრაელიც წარმოადგენდა. მისი განმარტებით: ნებისმიერი კავშირი ისრაელთან და მის აგენტებთან, კომერციული იყო თუ პოლიტიკური, აკრძალულია. დასავლური გავლენისაგან მუსლიმური ქვეყნების დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ის ისლამს და მუსლიმურ სამღვდელოებას მიიჩნევდა. კლერიკალური ფუნქცია ისლამის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა, რის გარეშეც თემი დაიღუპებოდა. ისლამურ უნივერსალიზმს იგი უთავსებს შიიზმის

აპოლოგიას, რამაც მოგვიანებით პოლიტიკური მიზეზების გამო ნაციონალისტური ელფერი მიიღო.

ისლამური რევოლუციიის გამარჯვების შემდეგ ხომეინის მიეცა შესაძლებლობა რეალურად განეხორციელებინა მის მიერ შექმნილი ისლამური მმართველობის პრინციპები და შექმნა უკიდურესად ავტორიტარული ტიპის მმართველობის სისტემა.[18]

ირანის რევოლუცია მიეკუთვნებოდა ისეთ მოვლენას, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთის, არამედ მთელი მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთოებბზე.

აღნიშნული პროცესი, რომელიც გასული საუკუნუს 80-იანი წლებიდან იწყება დღემდე გრძელდება. ირანი და ისრაელი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურ ქვეყნებად რჩება. ყოველივე ამას საფუძველი ირანის ისლამურმა რევოლუციამ და კონკრეტულად კი მისმა ლიდერმა ხომეინიმ ჩაუყარა.

ირანის 1978-1979 წლების რევოლუციის ძირითადი პროპაგანდისტული ლოზუნგი ურწმუნოთა წინააღმდეგ საღვთო ომის-ჯიჰადის წარმოება იყო. ამ ურწმუნოებში იგულისხმებოდა „სიონისტებიც“. პირველი ამკვიდრებდა ცნებას იმის შესახებ, რომ ბრძოლის გაერშე ეკონომიკური დამოუკიდებლობა ვერ მიიღწეოდა. მეორე, კი ცხოვრებაში გატარდა, როგორც ზესახელმწიფოს მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის დაუშვებლობა, იმიტომ რომ ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო „ისლამური კანონის შექმნა. ამ უკანასკნელის წინამძღვარია - “საზოგადოება სიღარიბის გარეშე“.[19]

---

[18] კაპანაძე მ. სტატია -აიათოლა ხომეინის პოლიტიკური პორტრეტი - “საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენციის შრომები” (თბილისი ,2015) გვ 60-73

[19] მენთეშაშვილი ზ. “ახლო და შუა აღმოსავლეთი ისტორია და თანამედროვეობა.” - თბილისის უნიერსიტეტის გამომცემლობა (2003) გვ. 258-271

III თავი. ისრაელსა და ირანს შორის ურთიერთობის რადიკალიზაცია ირანში ისლამური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე

მნიშვნელოვნად შეიცვალა რეგიონში უსაფრთხოება, მას შემდეგ რაც ირანის ისლამური სახელმწიფოს სათავეში მოვიდა რადიკალური იდეოლოგიის მატარებელი აიათოლა ხომეინი. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა საგარეო პოლიტიკური მიმართულებით იყო ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ არსებობდა ერთი საკითხი- რომელთან დაკავშირებითაც ირანსა და ისრაელს ჰქონდათ ერთნაირი შეხედულება და პოზიცია. საკითხი რაც მათ აერთიანებდა იყო - ერაყის პოლიტიკა და მისი ქმედებები შემუშავებული პოლიტიკის განსახორციელებლად. სადამ ჰუსეინის რეჟიმი ისეთივე მიუღებელი იყო ისრაელისათვის, როგორც ირანისათვის.

აქვე ვისაუბრებთ სირიასა და ლიბანზე, რომლებიც წარმოადგენდა ისრაელისა და ირანის დაპირისპირების ერთ-ერთ პლადსტარმს. აქვე განვსაზღვრავთ ირანის პოზიციას სირიასა და ლიბანში , ისრეალის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. ლიბანის შემთხვევაში, მაშინ როცა ლიბანსა და ისრაელს შორის იყო დაპირისპირება ირანი პირდაპირ არ ჩართულა მასში თუმცა რა თქმა უნდა თავიდანვე აშკარა იყო ირანის მხარდაჭერა ლიბანის მიმართ. რაც შეეხება სირიას ირანი მიიჩნევა სირიის სახელმწიფოს მთლიანობის ერთ-ერთ დამცველად.

ჩვენთვის საინტერესოა ირანისადმი დამტკიცებულ სანქციები და ბირთვულ პროგრამა. რომელთან დაკავშირებითაც აშკარაა ისრაელის ინტერესები, მას სურს რომ შეაჩეროს ირანის მზადრი პოლიტიკური გავლენა სხვადასხვა საშუალებებით. ამიტომ ისრაელი გამოდის ირანისადმი სანქციების გამკაცრების იდეით.

3.1. ისრაელისა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის დიპლმატიური კავშირის გაწყვეტა და ისრაელის პოზიცი ირან-ერაყის ომში

1979 წლის რევოლუცია არ დაწყებულა, როგორც რელიგიური რევოლუცია. ეკონომიკური სტაგნაცია და საშუალო კლასის იმედგაცრუება რეჟიმის კორუმპირებულობის და რეპრესიულობის გამო, ამ მოვლენის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო, რასაც თან ერთვოდა შტატებთან არათანაბარპარტიონული ურთიერთობების შედეგად ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება. მაგრამ რევოლუციამ დიდი ძალა შეიძინა ისლამის შიიტური მიმდინარეობებიდან. მან ერთ მუშტად შეკრა და ერთიანი მიზნის გრძნობა ჩაუსახა სრულიად განხსვავებულ ელემენტებს-მათაც კი, რომელთა იდეოლოგიაც სულაც არ საზრდოობდა რელიგიით. ერთიანობის ამ რელიგიური ფორმის სიმბოლოდ კი ქარიზმატული ლიდერი , ხომეინი იქცა. მეფობის მიწურულს შაჰმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი შაფურ ბახთიარი. ამ უკანასკნელმა შეიმუშავა ღონისძიებების პროგრამა, რომელთა მიზანი იყო კონსტიტუციური მმართველობის აღდგენა და მდგომარეობის სტაბილიზაცია. თავისუფალი არევნების ჩატარების ჩათვლით, მაგრამ „ეროვნული ფრონტი“, რომლისთვისაც უკვე მიღებული იყო შაჰთან თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა, განუდგა ბახთიარს და ხომეინმაც მისი მთავრობა არაკანონიერად გამოაცხადა. 5 თებერვალს კი ხომეინიმ პრემიერად მისი იმდროინდელი მოკავშირე მეჰდი ბაზარგანი დანიშნა.

9-11 თებერვალს რევოლუციური დრამის უკანასკნელი აქტი გათამაშდა . ამბოხებულებმა აიღეს იმპერიული გვარდიის საჰაერო ძალების ბაზა, სამხედროებმა კი გააკეთეს განცხადება, რომ არმია არ იმოქმედებდა რევოლუციის წინააღმდეგ. 11 თებერვალს თეირანის რადიოთი ისტორიული განცხადება გაკეთდა: „ეს არის ირანის ხმა, ხმა ჭეშმარიტი ირანისა, ხმა ისლამური რევოლუციისა“: დასრულდა 53-წლიანი დინასტიისა და 2500-წლიანი მონარქიის არსებობა. რევოლუციონიერებმა მთლიანად აიღეს ხელში ძალაუფლება . ხომეინი თვითონ ჩაუდგა სათავეში რევოლუციურ საბჭოს,

რომელსაც კონტაქტები ჰქონდა კომიტეტებთან მოლების საშუალებით. ამგვარად რევოლუციის ლიდერი ცდილობდა გზიდან ჩამოეცილებინა, ყველა ის , ვინც მისი თვალთახედვიდან საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მომავალს. სეკულარისტები 1982 წლამდე უწევდნენ რელიგიურ ძალებს წინააღმდეგობას, სანამ სასულიერო წოდებამ არ მოახერხა პრაქტიკულად ტოტალურად დაემყარებინა საკუთარი კონტროლი ქვეყნებზე.

რევოლუციური კომიტეტი მთელი ირანის მასშტაბით შეიქმნა, მაგრამ თავდაპირველად ყველა არ ექვემდებარებოდა ხომეინის კონტროლს. განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდ. დასავლეთში, სადაც სეპარატისტული მოძრაობებისა და მემარცხენეების ძლიერი ტრადიცია არსებობდა. აქ რევოლუციურ ენთუზიაზმს ერთვოდა უფრო ფართო რეგიონული ავტონომიურობის მოთხოვნა. ჯერ კიდევ ირანში დაბრუნებამდე ხომეინი მკაცრად აკრიტიკებდა შაჰის მერმარცხენე ოპონენტებს. მარტში მან მიაღწია, რომ რეფერენდუმზე მოსახლეობის 97%-მა მოიწონა ისლამური რესპუბლიკის შექმნა. მაისში კი ჩამოყალიბდა „რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“ არმიის ძალის დასაბალანსებლად და როგორც დამატება ქუჩის ბანდებისა. მოსახლეობის ღარიბი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდებისაგან შეიქმნა მოხალისე რაზმები. ბასიჯები ისლამური რეჟიმის თავგადაკლული დამცველები გახდნენ. ჯერ კიდევ თებერვალში კიდევ ერთი მაკონტროლებელი ორგანო შეიქმნა-რევოლუციური ტრიბუნალები. მათ სათავეში რელიგიური მოსამართლები ედგნენ. ისინი ასამართლებდნენ შაჰის ხელისუფლების ყოფილ წევრებს და ასევე ისლამური რეჟიმის ოპონენტებსაც. ისლამური ფასეულობების აღორძინებას, უფლებების მოსამართლეებად დაბრუნების გარდა, მოჰყვა შარიათის საკანონმდებლო ნორმების აღდგენაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმის შეზღუდვა მოხდა, შენარჩუნებული პრაქტიკები, მაგალითად ჩაქოლვა ცოლ-ქმრული ღალატისათვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის მძაფრ კრიტიკას იწვევდა.

1979 წლის შემოდგომისათვის სულ უფრო თვალსაჩინო გახდა ზომიერებისა და ლიბერალების მარგინალიზებაცია. ზაფხულში ხომეინიმ შექმნა

„ისლამური რესპუბლიკის პარტია“ და შემუშავდა კონსტიტუციის პირველი ვარიანტი. მალევე ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ისლამური რესპუბლიკის შექმნის იდეას მოსახლეობის უმავლესობამ მხარი დაუჭირა. ამგვარად , მყარი ნიადაგი შეიქმა 73-წევრიანი ექსპერტთა საბჭო არჩევნებისათვის. კონსტიტუციის ამოსავალი წერტილი გახდა ხომეინის ველაიათ-ე ფაყიპის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, მეთორმეტე იმამის არყოფნის პირობებში, მუსლიმური თემისათვის სასულიერო პირებს უნდა ეხელმძღვანელა. ქვეყნის უზენაესი წინამძღვარი, ბელადი (რაჰბარი) კი უნდა გამხდარიყო ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირების მიერ არჩეული რელიგიური მოღვაწე. ამგვარი პიროვნება აიათოლა ხომეინი იყო. ამდენად ხომეინის ისლამური მმართველობის კონცეფცია შეიძლება „ხალხისათვისაა“ მაგრამ უეჭველად არაა დემოკრატიული. ქვეყნის მეთაურად ითვლება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე 4 წლით არჩეული პრეზიდენტი, რომლის ხელისუფლება, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეზღუდულია. ირანის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს მეჯლისი-პარლამენტი, რომლის მაკონტროლებელი ორგანო, თავის მხრივ, ისლამური ზედამხედველობის საბჭოა. ზაფხულში შეიზღუდა პრესის თავისუფლება. ჰეზბოლას წევრები თავდასხმებს აწყობდნენ გაზეთებისა და პოლიტიკური პარტიების ოფისებზე. დაიხურა 4 გაზეთი. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი „ეთალაათი“ და „ქეიჰანი“ –„ბონიად-ე მოსთაზაფინის კონტროლის ქვეშ გადავიდა. იმავდროულად უშიშროების სამსახური სავაქი, სამეთაურო კორპუსის განადგურების შემდეგ, ისლამური სახელმწიფოს იარაღად იქცა. ქვეყანაში რეჟიმის მოსახლეობის რადიკალიზაციისთვის კრიზისი სჭირდებოდა და ასეთი გახდა მძევლების ისტორია, რომელიც გრძელდებოდა 444 დღე. დასასრულს ყველა მძევალი გაანთავისუფლეს (დაახლოებით 57), მაგრამ ყოველივე ეს ირანს დაუჯდა აშშ-სთან ურთიერთობების უკიდურესად გამწვავებად. აშშ-სთან ურთიერთობის გამწავევაბ კი გულისხმობდა ასევე ისრაელთან მდგომარეობის გაუარესებასაც. ასევე ქვეყანას საერთასორისო არენაზე შეუქმნა არაპროგნოზირებადი ექსტრემისტული სახელმწიფოს იმიჯი.

ხომეინმა მძევლების კრიზისი გამოიყენა რევოლუციური აღტკინების შესანარჩუნებლად და ოპოზიციონერთა წინააღმდეგ. რევოლუციის პირველ წლებში ხომეინიმ არაერთი მნიშვნელოვანი მეტოქე, როგორც შინა ისე გარე ჩამოიშორა. ტერორი და რეპრესიები რეჟიმის განუყოფელი ნაწილი გახდა. ხომეინი დარწმუნებული იყო, რომ არ უნდა მიეცა მტრებისათვის ინიციატივის ხელში აღების საშუალება. მან მიზანმიმართულად გაანადგურა ოპონენტთა უმრავლესობა. ხომეინისტები მთლიანად დომინირებდნენ ქვეყანაში. უზომოდ გაიზარდა ბიუროკრატიულო აპარატი-1979 წელს 20 სამინისტრო არსებობდა და 304 ათასი საჯარო მოხელე იყო. ხოლო 1982 წელს მათმა რაოდენობამ 26-ს და 850 ათასს მიაღწია, ახალ სამინისტოებსა და უწყებებს შორის იყო დაზვერვისა და უშიშროების, რევოლუციის გუშაგების, უმაღლესი განათლების , აღმშენებლობის ჯიჰადის და ისლამური დამოძღვრების. სამინისტროების გარდა შეიქმნა არაერთი ნახევრადრელიგიური ფონდი. მკაცრი ცენზურა დამყარდა გაზეთებზე , წიგნებზე, ფილმებსა და მაუწყებლობებზე. სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს მონარქიისა და საერო გმირების დადებით კონტექსტში მოხსენიება. პრაქტიკულად აიკრძალა ევროპული საკუთარი სახელების გამოყენება. საზოგადოებრივი ადგილებიდან წაშალეს მონარქების ნებისმირი სახით ხსენება. ისფაჰანში სეფიანთა დროს აშენებულ შაჰის ცნობილ მეჩეთს იმამის მეჩეთი ეწოდა. ქალაქებს დაუბრუნდათ ძველი სახელები. [20]

ჯერ კიდევ 1950 წელს ოფიციალურად, ისრაელსა და ირანს დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდათ, მაგრამ ეს ორი ქვეყანა ინარჩუნებდაჩო დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამ ყოველივეს გამოხატულება იყო ის, რომ ისრაელმა დააარსა საელჩო თეირანში საპასუხოდ კი ირანმა დააარსა საკონსულო იერუსალიმში. თუმცა აქვე აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ოფიციალურად ეს ფაქტი არ დაუდასტურებიათ . ამავე დროს ირანის საგარეო სამინისტროს ისევე როგორც სხვა ქვეყნებს ჰქონდათ, უცხოელ დიპლომატთა სიები, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ

[20] სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. "ახლო აღმოსავლეთის ისტორია". თბილისი, (2011) გვ. 317-323

ირანში, თუმცა ამ ოფიციალურად აკრედიტირებულ დიპლომატთა სიაში ისრაელის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელები არ იყვნენ აღნიშნულები.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ისრაელისა და ირანის ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური სფეროს გარდა იყო ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების საკითხები.

1979 წლისათვის უკვე მდგომარეობა შეიცვალა, რადგან აიათოლა ხომეინს ჰქონდა რადიკალურად განსხვავებული პოზიცია ისრაელთან დაკავშირებით. ირანში გართულებული მდგომარეობის გამო დაახლოებით 1.700 ისრაელელ მრჩეველსა და ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენელს მოუწია ქვეყნის დატოვება. მათგან უმრავლესობა დასაქმებული იყო ირანის შეიარაღებულ ძალებსა და საიდუმლო სამსახურში. მათგან გარკვეული ნაწილი იყო ისრაელის იმ კომპანიებს წარმომადგენლები, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებდნენ ირანში.

გარდა ამისა, საერთო ინტერესი, რომლის ირგვლივაც, ორივე თანხმდებოდა იყო ის, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ირანული ნავთობის ექსპორტი ისრაელის გავლით.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე აიათოლა ხომეინის ინტერესები სულ სხვა იყო ისრაელთან მიმართებაში და ამიტომ ანხორციელებდა შესაბამის ნაბიჯებს, საბოლოო მიზნის მისაღწევად. თავდაპირველად, ისრაელი ფიქროდა, რომ ირანში რეჟიმის შეცლას არ მოყვებოდა რადიკალური ცვლილებები საგარეო პოლიტიკური მიმართულებით. მაგრამ აიათოლა ხომეინის მიზანს წარმოადგენდა ირანის ისლამისტური ჰეგემონია მთლიან მუსლიმურ სამყაროში. სამწუხაროდ ამ მიზნის მიღწევაში ირანს დაბრკოლებას უქმნიდა ისრაელი.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასე დასრულდა ირანსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობა საბოლოოდ ისლამური რევოლუციის შემდეგ, რადგან ირანი წარმოჩნდა როგორც მკვეთრი ანტისიონისტური ქვეყანა.

ამას თავის მხრივ წინ უძღვოდა ირანის აშშ-ს თან დიპლომატიური კავშირების გაწყვეტაც.

თუმცა აქ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ შემდეგ უკვე ირან- ერაყის ომში რომელიც 1980-იან წლებში მიმდინარეობდა, ირანმა იარაღი შეძენა ისრაელისგან. ასევე შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა რაკეტებისა და სამხედრო თვითმფრინავების ჩათვლით, თუმცა საიდუმლოდ. რაც შეეხება ისრაელის ინტერესს, მასში ის ხედავდა, როგორც კომერციულ ინტერესესს, ასევე მას ეს მიაჩნდა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობად. თუმცა ირან-ერაყის ომის შემდეგ, ირანული რეჟიმისთვის ისრაელი ისევ მოწინააღმდეგე იყო.

1975 წლის 6 მარტს ალჟირში ირანის შაჰმა მოჰამად რეზა ფეჰლევმა და ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ახლო აღმოსავლეთის ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი მდინარე შატტ-ელ არაბის გაყოლებაზე დაწესდა. 1979 წელს ირანში მონარქიის დამხობის შემდეგ ერაყმა გადასინჯა ალჟირის ხელშეკრულება და 1980 წლის 17 სექტემბერს სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე ერთი კვვირით ადრე ცალმხრივად გააუქმა იგი. სწორედ ასე დაიწყო დაპირისპირება ირანსა და ერაყს შორის, რომელიც შემდეგ ომში გადაიზარდა.

ხსენებულ კონფლიქტში სხვადასხვა სახელმწიფოს სხვადასხვა შეხედულება ჰქონდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისრაელის დამოკიდებულება და პოზიცია. სპარსეთის ყურეში აშშ-ის ინტერესების დამცველის- ისრაელის პოლიტიკური როლის გაძლიერება შესაძლებელი იყო რეგიონში ე.წ „ანტისაბჭოთა კონსენსუსის„ ჩამოყალიბებით. ამ მანევრით არაბების ყურადღბა ებრაული სახელმწიფოს ექსპანსიონისტური პოლიტიკიდან არარსებული „საბჭოთა საფრთხის“ წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაინაცვლებდა. მაგრამ სპარსეთის ყურის კონსერვატიულმა არაბმა ხელმძღვანელებმაც კი

უარყვეს რ.რეიგანის ადმინისტრაციის მტკიცება, რომ რეგიონში მშვიდობას საფრთხეს არა ისრაელი არამედ საბჭოთა კავშირი უქმნიდა. [21]

ირან ერაყის ომის დროს ისრაელი ერაყის მოწინააღმდეგე ბანაკში იყო, მართალია ის უშუალოდ არ ჩარეულა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ერაყის წინააღმდეგ მაგრამ ფაქტია ის, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი ისეთივე მიუღებელი იყო ისრაელისათვის, როგორც ირანისათვის. ისრაელში ფიქრობნდენ რომ სადამ ჰუსეინი აწარმოებდა ბირთვულ პროგრამას და მას ჰქონდა შესაბამისი შესაძლებლობები, ეს ბირთვული იარაღი გაოეყენებინა ისრაელის წინააღმდეგ. ისრაელის სტრატეგიული პარტნიორი აშშ კი ამ ომში ირანის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო და მისი სურვილი ამ ომში წარმოადგენდა ერაყის გამარჯვებას. ჩენთვის კარგადაა ცნობილი აშშ-ს ნეგატიური დამოკიდებულება ირანთან მიმართებაში. აშშ-ს და ისრაელის ამ განსხვავებული პოზიციების მიუეხდავად ისრაელმა დაბომბა ერაყის ატომური რეაქტორები რაზედაც აშშ-ს და არც სხვა ქვეყანას, რომლებიც ერაყის მხარეს იყვნენ (იდეოლოგიური თვალსაზრისით) არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ისრაელის აღნიშნული ქმედება რა თქმა უნდა ირანის წისქვილზე ასხამდა წყალს და ხელს უწყობდა ერანის დასუსტებას ამ ომში. რადგან ნებისმიერი მსგავსი ქმედებით სუსტდება სახელმწიფო და შესაძლებელი ხდება მისი ფსიქოლოგიურად განადგურება და შესაბამისად სასურველი მიზნის მიღწევა. ამ შემთხვევაში მიზანს კი წარმოადგენდა ერაყის შესუსტება და მასზე ზეგავლენის მოხდენა. კონკრეტული ფაქტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა ისრაელისა ამ ომში გამოიკვეთა ისრაელის პარტნიორის აშშ-ს თანამშრომლობა ირანთან ირან ერაყის ომის პერიოდში. ეს მოვლენა მოხდა თავისთავად, შესაძლოა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, თუმცა აუცილებელი იყო არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და უსაფრთხოების უზრუნველასყოფად, როგორც რეგიონული ისე საერთაშორისო მასშტაბით.

[21] მენთეშაშვილი ზ. "ახლო და შუა აღმოსავლეთი ისტორია და თანამედროვეობა". თბილისის უნიერსიტეტის გამომცემლობა (2003) გვ. 111 -113

3.2. ირანის ისლამური რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ინტერვენცია ისრაელის განსაკუთრებული გავლენის ზონებში (ლიბანისა და სირიის მაგალითი)

1975 წელს კონკრეტულად კი 13 აპრილს ლიბანში დაიწყო სამოქალაქო ომი. ერთი მხრივ, პალესტინელებსა და მუსლიმებს და მეორე მხრივ არმიასა და მემარჯვენე ქრისტიანულ პარტიებს შორის. შეიქმნა საშიშროება ქვეყნის გაყოფისა კონფენსიონალური ნიშნით. სამოქალაქო ომში, რომელიც 4 ეტაპად მიდინარეობდა (1975-1977,1978-1981,1982-1983,1983-1990) და 15 წელს გრძელდებოდა, დაახლოებით 150,000 ადამიანი დაიღუპა. ამ ომში ჩაერთო სირია და ისრაელიც. 1976 წლის 1 ივნისს სირიამ შეიყვანა ლიბანის ტერიტორიაზე თავისი არმია. 1976 წლის მეორე ნახევარში სამხედრო დამარცხებისა და 1977 წლის 16 მარტს სირიის სპეცსამსახურების მიერ ქიმალ ჯუმბლატის მკვლელობის შემდეგ, ბლოკი „პატრიოტული და პროგრესული პარტიების ორგანიზაციებისა და მოღვაწეების ფრონტი „დაიშალა. ამის პარალელურად გაძლიერდა მემარჯვენე ქრისტიანული პარტიების ალიანსი, რომლებიც ითხოვდნენ სირიის „სამშვიდობო“ კონტიგენტის დაუყოვნებლივ გაყვანას ლიბანის ტერიტოტიიდან. ქრისტიანული პარტიების ხელმძღვანელებმა დაიწყეს ფარული თანამშრომლობა ისრაელთან, რომელიც ამარაგებდა ქრისტიანულ არმიას იარაღითა და ტექნიკით, ეხმარებოდა ფინანსურად. 1978 წლის 14 მარტს ისრაელში თავდაცვის არმიამ ლიბანის ტერიტორიაზე განახორციელა სამხედრო ოპერაცია „ლიტანი“. გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელის სამხედრო აქცია და 19 მარტს მიიღო რეზოლუციები № 425 და № 426, რომლებიც ითვალისიწინებდა გაეროს დროებით სამშვიდობო ძალების განლაგებას ლიბანში და ისრაელის არმიის გაყვანას ლიბანის სამხრეთ ტერიტორიიდან. ეს პროცესი დასრულდა 1978 წლის ივნისში. მოგვიანებით, ამ ტერიტორიის კონტრლოლი დაევალა ახლად შექმნილ სამხედრო ორგანიზაციას „სამხედრო ლიბანის არმიას“. 1982 წლის 6 ივნისს ისრაელმა, პალესტინურ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, კვლავ განახორციელა სამხედრო ოპერაცია (მშვიდობა

გალილეაში) ლიბანში. ისრაელმა დაიკავა ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის დედაქალაქი ბეირუთი. 1 სექტემბერს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის რაზმები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა და გადასულიყვნენ თუნისში. ამის შემდეგ ისრაელის არმიამ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე შექმნა „უსაფრთხოების ზონა. 1983 წელს ლიბანის მთავრობამ „სამშვიდობო შეთანხმება„ დადო ისრაელთან, მაგრამ კვლავ გააუქმა ის ერთი წლის შემდეგ. 1985 წლის ივნისსში ისრაელმა გაიყვანა თავისი არმია ლიბანიდან, გარდა სამხრეთი სასაზღვრო ზოლისა, რომელიც გახდა მემარჯვენე ქრისტიანული სამხედრო დაჯგუფეფბის ბაზა ბუფერული ზონის დაცვის მიზნით. 2000 წლის საპარლამენტო არჩენები ლიბანში ჩატარადა სრულიად განსხვავებული საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პირობებში. ჰარირი გადადგა და პერემიერ მინისტრი გახდა ს.ელ-ჰოსი. 2000 წლის მაისში ისრაელმა გაათავისუფლა ლიბანის სამხრეთი. [22]

რაც შეეხება ირანის ჩართულობას ამ კონკრეტულ დაპირისპირებაში, რა თქმა უნდა თავიდანვე აშკარა იყო ირანის მხარდაჭერა ლიბანის მიმართ, რადგან რევოლუციის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ირანის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ. არაპირდაპირ ჩარევას ის ანხორციელებს ორი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის მეშვეობით, ეს არის „ჰეზბოლა“ და „ჰამასი“. მათი შექმნის შემდეგ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა ირანს რომ ჩარეულიყო ლიბანის შიდა პოლიტიკურ საქმნიანობაში. სწორედ ამ ორგანიზაციების მეშვეობით ახდენს ის გეოპოლიტიკურ ინტერვენციას ლიბანის და არამარტო ლიბანის ტერიტორიაზე. ეს ყოველივე კი ხორციელდება ირანის მიერ „ჰეზბოლასა „ და „ჰამასის“ ეკონომიკური დაფინანსების ხარჯზე.

აქვე განვიხილივათ ამ ორ ორგანიზაცია, სადაც კარგად ჩანს მათი მოქმედების მიზნები, საშუალებები, ობიექტები და ა.შ

ლიბანის „ჰიზბალაჰი“ (ჰეზბოლა) მთელ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში მონაწილეა. თავის მიზნად კი ასახელებს ლიბანის მთელი

[22] სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. “ახლო აღმოსავლეთის ისტორია”. თბილისი, (2011) გვ. 527-530

მოსახლეობის ინტერესების გამოხატვას , ასევე დანგრეული შენობების აღდგენას, სკოლების, საავადმყოფოების, სუპერმარკეტების მშენებლობა და ა.შ. „ჰიზბალაჰის“ წევრები იმავდროულად არის ლიბანის პარლამენტის წევრები.

ორგანიზაციის მოქმედების ძირითადი შედეგი გახდა ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანა 20 წლიანი ოკუპაციის შემდეგ. ირანი ფინანსურ დახმარებას უწევს ამ ორგანიზაციას თავისი იდეოლოგიური გავლენის გავრცელების მიზნით. სირიის ინტერესი განპირობებულია ისრაელთან მოლაპარაკებით გოლანის მაღლობების დაბრუნების თაობაზე. პალესტინელებსაც იმედი აქვთ ჰიზბალაჰის, პალესტინის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებულია 400.000 ლტოლვილის, რომელთაც თავი შეაფარეს ლიბანს. „ჰიზბალაჰზე“ დიდი გავლენა მოახდინა ირანის ისლამურმა რევოლუციამ, რომელიც გახდა კატალიზატორი ამ პროცესების, რომლებიც შემდგომ განვითარდა ლიბანის შიიტურ თემში.

„ჰიზბალაჰის“ დაარსების თარიღად ითვლება 1984 წლის 16 თებერვალი, მის სულიერ ლდიერად აიათოლა ხომეინი გამოცხადდა, ხოლო პარტიის გენერალურ მდივნად მუჰამად ჰუსეი-ფადდალაჰი. მის წარმატებას ხელი შეუწყო შიიტური მოსახლეობის არსებობამ ლიბანში და სამოქალაქო ომმა ქვეყანაში.ასევე ისრაელის ინტერვენციამ 1982 წელს და სირია-ირანის კარგმა ურთიერთობამ.მათი მიზანი იყო აშშ-ის და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთა პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში დიდ საფრთხეს უქმნის ისლამურ ტრადიციებს და კულტურას.

ლიბანის ხელისუფლებას „ჰიზბალაჰის“ დახმარება სჭირდება პალესტინელი ლტოლვილების პრობლემების გადაჭრისათვის. ლიბანის ბანაკში არის დაახლ. 400.000 ადამიანი, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას. 1970-იან წლებში ისინი გახდენ სამოქალაქო ომის მიზეზი ლიბანში. ჰიზბალაჰის ლიდერები აცხადებენ, რომ არ ექნებათ მშვიდობა ისრაელთან, თუ ყველა პალესტინელი არ დაბრუნდება სამშობლოში.

2006 წლის ივლის-აგვისტოში მიმდიანრეობდა მეორე ლიბანური ომი, ეს იყო შეიარაღებული შეტაკება ისრაელსა და „ჰიზბალაჰს“ შორის, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს ლიბანის სამხრეთ რაიონებს. განხორციელდა თავდასხმა ისრაელზე და ამ თავდასხმის მიზანი იყო ზეწოლა ისრაელზე, რათა აეძულებინათ ის ებრძოლა ორ ფრონტზე (ღაზას სექტორში ის აწარმოებდა სამხედრო ოპერაციას მოძრაობა ჰამასის წინააღმდეგ)

1990 -იან წლებამდე „ჰიზბალაჰსა“ და „ჰამასს“ შორის ურთიერთობა დაძაბული იყო, ახლა გამოსწორდა. ჰიზბალაჰი წვრთნის ჰამასის მეომრებს, რომლებიც შემდეგ პალესტინის ტერიტორიებზე ეწევიან თავიანთი საქმიანობას ჰიზბალაჰის სახელით.

შემდეგ უკვე „ჰეზბოლამ“ კავშირი დაამყარა ირანთან და ასადის რეჟიმის მხარდაჭერა გახდა ლიბანს სირიასა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობის გაუარესების მიზეზი. ამ ყოველივეს კი შედეგად მოჰყვა პირველ რიგში სპარსეთის ყურის ქვეყნების მხრიდან დახმარების შეწყვეტა. მათ შორის ფინანსური დახმარების, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი იყო მისთვის. უკვე 2016 წლის დასაწყისში ბეირუთმა განაცხადა უარი სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების მიერ მომზადებული რეზოლუციების მხარდაჭერაზე იმის გამო, რომ დაგმობილი იყო ირანისა და „ჰეზბოლას“ მოქმედებები. საუდის არაბეთის მტკიცებით, „ჰეზბოლა“, ირანთან შეთანხებით, ახდენდა იემენში ამბოხებულთა სამხედრო მომზადებას და მხარდაჭერას. შედეგად, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭომ იმავე წლის 2 მარტს „ჰეზბოლა“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა.[23]

„ჰამასი“ ისლამისტური ფუნდამენტისტური, პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციაა, რომელცი დაარსდა 1987 წელს. მას შემდეგ „ჰამასი“, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, აქტიურად იბრძვის ისრაელს-ძირითადად მშვიდობიან მოსახლეობაზე მასობრივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური იერიშის მიტანით. შესაბამისად, მთელ რიგ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს,

[23] სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. “ახლო აღმოსავლეთის ისტორია”. თბილისი, (2011) გვ. 595-602

მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს „ჰამასი“, შეყვანილი ყავთ ტერორისტული ორგანიზაციის სიაში. მას შემდეგ, რაც არსებული მმართველობის ძალამ - „პალესტინურმა განმანთავისუფლებელმა ორგანიზაცია“, ვერ შეძლო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების უზრუნველყოფა პალესტინელებში გაჩნდა უნდობლობა .ჰამასმა ისარგებლა არსებული პოლიტიკური კრიზისით-დაიწყო სოციალური პროგრამების შეთავაზება და მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია.

2006 წლელს, ღაზას სექტორში „ჰამასის“, როგორც პოლიტიკური ძალის ხელისუფლების სათავეში მოსვლამ, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა. ეკონომიკური სანქციებისა და პერიოდული სამხედრო ესკალაციის ფონზე.

„ჰამასის“ დააერსების მთავარი მიზანი იყო ებრაული სახელმწიფოს განადგურება და მის ადგილას პალესტინური სახელმწიფოს აშენება. შექმნის დღიდან დღემდე „ჰამასი“ მუდმივ სამხედრო კონფლიქტშია ისრაელთან, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში განსხვავებული იყო ბრძოლის მეთოდები და ტაქტიკა. თავდაპირველად ჰამასი გამოირჩეოდა ისრაელზე სარაკეტო თავდასხმებით, თუმცა შემდეგ ებრაელი ჯარისკაცების გატაცება და მკვლელობა, ასევე თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა. მსგავს ასიმეტრიულ კონფლიქტში, ადამიანების გამოყენება, კერძოდ თვითმკვლელი ტერორიზმი, როგორიცაა ტაქტიკა, სტრატეგიულიად უფრო გაამრთლებადი და შედეგის მომტანი აღმოჩნდა. 2000 წლიდან „ჰამასის“ სამხედრო ბრიგადებმა ისრაელზე ასობით საჰაერო იერიში მიიტანეს. ერთ-ერთი ყველაზე მძიმე 2002 წლეს კურორტ ნეთანიაზზე სარაკეტო თავდასხმა იყო.

2017 წელს „ჰამასის“ პოლიტიკურმა ლიდერმა, ხალიდ მეშალმა, დოჰაში, ჩატარებული პრესკონფერენციისას წარადგინა ახალი დოკმენტი. ამ დოკუმენტით ჰამასი ოფიციალურად გაემიჯნა „მუსლიმთა საძმოს“, აღნიშნული ნაბიჯის მიზანი ეგვიპტესთან და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოებთა ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა იყოს, რომლებიც „მუსლიმთა საძმოს

„ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ. ახალი დოკუმენტის კდიევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია „ჰამასის“ შერბილებული დამოკდიებულება ისრაელის მიმართ. დოკუმენტი პირველად განასხვავებს სიონიზმსა და ებრაელბს.ჰამასი ამტკიცებს, რომ კონფქლიტი სიონისტურ პროექტთან (ისრაეთან) აქვს და არა იუდეიზმთან.

1990-იანწლებში, ირანი ასობით მილიონი დოლარით დაემაა „ჰამასს.“ მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა სირიის სამოქალაქო ომში „ჰამისის“ მხრიდან ოპოზიციის მხარდაჭერამ. სავარაუდოდ, „ჰამასმა“ და ირანმა ურთიერთობა 2017 წელს კვლავ აღადგინეს, ოფიციალურად დოკუმენტის თანახმად, მხოლოდ 2018 წელს ირანი, „ჰამასს“, დახმარების სახით თვი 20 მილიონ დოლარს ურიცხავდა. ირანის მთავარი მოტივი ისრაელზე საჰაერო იერიშის მიტანა და საჭირო სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვებაა. აღსანიშნავია, რომ ირანი შიიტური სახემწიფოა, ხოლო „ჰამასი“ სუნიტური ორგანიზაციაა. თუმცა „ჰამასისა“ და ირანის გადაკვეთის წერტილი ისრაელია რადგან ამ უკანასკნელის განადგურება ორივეს უმთავრესი ამონაცაა.[24]

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციასთან როგორიც არის „ისლამურ სახალიფოს“ ირანსა და ისრაელს ერთი პოზიცია აქვთ.

აქვე მოკლედ უნდა განვიხილოთ ინტიფადებიც. რომლებშიც აშკარად ჩანს ირანის დამოკიდებულება და მისი კონკრეტული მქდებები ისრაელის წინააღმდეგ ლიბანში. ირანი მუდმივად ცდილობს რომ ისრაელსა და

[24] “ჰამასი - ისტორია, აწმყო და სამომავლო პერსპექტივები-საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი” (GCSD) , თბილისი (2020) გვ.1.
http://gcsd.org.ge/storage/files/doc/BOOK%205%20%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%20-%20%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90,%20%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.06.2020)

პალესტინას შორის კონფლიქტი გააღრმავოს, აშკარა მცდელობებით და სურს გააუარესოს ისრაელის წინააღმდეგ პალესტინელების ტერორისტული მოქმედებები რაკიღა ირანს ანტისიონისტური პოლიტიკა აქვს და ისლამური რევოლუციის შემდეგ არ აღაირებს ამ სახელმწიფოს არსებობას. მსგავსად მოქმედებდა პირველი ინტიფადის დროს ირანი. ამის დასტურად შეგიძლიათ იხილოთ ირანის მთავრობისა და რელიგიური ოფიციალური პირების საჯარო განცხადებები, რომლებიც პალესტინელთა ირანულ მხარდაჭერას გაღრმავებას და ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას მოითხოვენ. ირანი აცხადებდა, რომ ქვეყნის პოზიცია ინტიფადის მხარდაჭერასთან დაკავშირებით არ შეიცვლება. ამ ყოველივეს ირანი ანხორციელებდა ორი მიზნით: პირველი-ირანი რეკრუტირებას ანხორციელებს, ხელმძღვანელობს და უჭერს მხარს პალესტინურ ისლამისტურ დაჯგუფებებს განსაკუთრებით ჰამასს ტერორისტებს, რათა შექმნან რეკრუტიტების ინფრასტრუქტურა პალესტინის ტერიტორიებზე, რომლის დანიშნულება ისრაელის მიზნების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების განხორციელებაა. მეორე-ირანი მოქმედებს კონკრეტულ ტერიტორიებზე ანტიისრაეულურად განწყობილი ჯგუფების მხარდასაჭერად საქმიანობის დაწყების მიზნით, პალესტინის და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების, ძირითადად, ისლამური ჯიჰადის და ჰეზბოლას მეშვეობით, რომლებსაც ირანი აწვდის სამხედრო, ოპერატიულ და ფინანსურ დახმარებას.[25]

პალესტინის ინტიფადა იყო აჯანყება, ფაქტიურად შემარყეველი, რომელმაც მკვეთრად შეცვალა პალესტინელების სტატუსი და მათი პრეტენზიები მსოფლიოსთან მიმართებაში. მოხდა ორი ინტიფადა, ერთი 1987-1993 წლებში, ხოლო მეორე მიმდინარეობს 2000 წლიდან.

პირველი ინტიფადა 1987 წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც სამხედრო სატვირთო მანქანამ პალესტინელები მოკლა საგუშაგოზე, სადაც პალესტინელები ისრაელის სამხედრო ნებართვას ელოდებოდნენ ისრაელში სამუშაოდ

[25] Carey, Roane, "The New Intifada: Resisting Israel's Apartheid". New York: Verso ed.(2001), Pp. 107-108

გადასასვლელად, ღაზაში. ინტიფადა მართლაც პოპულარული აჯანყება იყო. მან მოსახლეობის ყველა სეგმენტში მობილიზება მოახდინა. ქალების, ბავშვების და ხანდაზმულთა მონაწილეობაც იყო განსაკუთრებით აშკარა. ათობით ათასი კომიტეტი შეიქმნა საზოგადოების საჭიროებების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო კომიტეტებიდან დაწყებული, განათლების, კვების და უსაფრთხოების კომიტეტებით დამთავრებული.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობა რაღაცას აპროტესტებდა, მაგრამ ამჯერად პროტესტი არ დასრულებულა მარტივად, როგორც ეს ადრე ხდებოდა. წინა პოპულარულ დემონსტრაციებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მათ ნელ-ნელა მუდმივი სახე მიიღო. ინტიფადამ შეცვალა გადაწყვეტილების მიღების ბალანსი შიდა და გარე ხელმძღვანელობებს შორის, რადგან ტერიტორიებზე ახალმა, ახალგაზრდა ლიდერებმა დაიკავეს კონტროლი. ახალი ხელმძღვანელობა აერთიანებდა განსხვავებულ პოლიტიკურ ფრაქციებს აჯანყებების ერთიანი ეროვნული ხელმძღვანელობით. ლიდერობა შეიცვალა ფრაქციებს შორის, რაც უზრუნველყოფდა ახალი ლიდერების სტაბილურ ნაკადს. ახალმა ლიდერებმა მიმართეს შუამავლობასა და მოლაპარაკების მეთოდების გამოყენებას.

შეიძლება ითქვას, რომ თავიდან ინტიფადა შედარებით არაძალადობრივი იყო. მისი ძალადობა შემოიფარგლებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის სამხედროების წინააღმდეგ ქვების სროლაში. შეუიარაღებული პირები არ იყვნენ სამიზნე. ძირითადი იარაღი რომელსაც ისინი იყენებდნე იყო ეკონომიკური: ისრაელის საქონლისა და გადასახადების ბოიკოტირება და კომერციული დარტყმების მიყენება. მაღაზიები დაიხურა, როგორც კი ვაჭრები შეუერთდნენ ინტიფადას ისრაელის საქონლის გაყიდვაზე უარის თქმით. სინამდვილეში, ბიზნესმენების დამატებამ აჯანყებას შეუწყო ხელი ინტიფადას თვითდამკვიდრებას.

ქვეყნის არმიამ მოქმედებები რომელსაც ხალხი ანხორციელებდა განსაზღვრა, როგორც "არეულობა" და სწორედ ამიტომ იგი აგრესიულად

გადავიდა პროტესტის ჩახშობის მიზნით, რეზინის ტყვიების და ცრემლსადენი გაზის გამოყენებაზე ამბოხების ჩახშობის მიზნით. საპროტესტო აქციები გაიზარდა, რომელშიც ათეულობით ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის ქალები და ბავშვები.

არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც პირველ და მეორე ინთიფადას აიგივებენ ხოლმე ერთმანეთთან. ეს კი განპირობებულია იმით, რომ არსებობს მათთვის დამახასიათებელი ნიშნები. პირველი საერთო ნიშანი ეს არის ისრაელის ჯარის დასავლეთ სანაპიროებიდან და ღაზადან იძულებით გაყვანა. მეორე ნიშანი კი არის ის, რომ დაპირისპირებები, ისევე როგორც პირველი ასევე მეორეც მიმდინარეობდა ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში და შესაბამისად კონფლიქტის მხარეებიც ერთი და იგივე სახელმწიფოები იყვნენ. თუმცა ამ ნიშნების გარდა კიდევ იკვეთება სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც, რომლებიც აშკრად გვაჩვენებს იმ რადიკალურ ნიშნებს, რომელიც მიმდინარე პროცესებისათვის იყო დამახასიათებელი.

გარდა ამისა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ინტიფადას შეერქვა სახელი ელ-აქსას ინტიფადა. ელ-აქსას ინთიფადა მაშინ დაიწყო, როდესაც ოსლოს პროცესი იყო ახალი დაწყებული. შეგვიძლია ვთქვათ რომ ამ ყოველივეს ორი მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა. პირველი იყო ის, რომ კონტროლირებად ტერიტორიებზე უკვე არსებობდა აღიარებული პალესტინის ხელისუფლება. სწორედ არჩეულმა ხელისუფლებამ მომზადება დაიწყო და შემდეგ მართავდა შეიარაღებულ დაპირისპირებას; რაც შეეხება მეორე მიზეზს, მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ისრაელმა კონტორლირებადი ტერიტორიების 98%-ზე კონტროლი პალესტინის ხელისუფლებას გადასცა. (დასავლეთ სანაპიროს ძირითადი ნაწილის და ღაზას სექტორის ჩათვლით). ამიტომ პალესტინელების ძირითადი მიზანი იყო ისრაელთან მოლაპარაკებებისას საკუთარი პოზიციის გაძლიერებაზე ზრუნვა. [26]

[26] ხ. ჰერცოგი, "ისარელ-არაბების ომები", თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი - (2007) გვ. 15-25

აქვე ის უმნიშვნელოვანესი ფაქტიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ბრძოლას ხელმძღვანელობდა იასირ არაფატი (პალესტინის ხელისუფლების ხელმძღვანელი) და ხაზი იმასაც უნდა გავუსვათ, რომ პირველი ინთიფადისგან განსხვავებით მეორე ინთიფადა უკვე ომი იყო. ამ დაპირისპირებაში მხარეები იყენებდნენ როგორც ასაფეთქებელ საშუალებებს ისე ცეცხლსასროლ იარაღსაც .

აქვე ასევე უნდა განვიხილოთ „არაბული გაზაფხულის“ შედეგად წინააღმდეგობების კიდევ ერთხელ აგღრმავება ისრაელსა და ირანს შორის. სანამ უშუალოდ ძირითადი საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ მოკლედ ვისაუბრებთ „არაბული გაზაფხულის“ დაწყებსი მიზეზე. ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც თუნისში დემოკრატიული არჩევნების გზით მოვიდა ახალი ხელისუფლება. ეს ყოველივე პრეზიდენტ, ზინე ელ-აბიდინ ბენ ალის ხელისუფლებიდან გადაგდების შემდეგ მოხდა. ალის მმართველობა მიუღებელი იყო ქვეყნის მოსახლეობისათვის. სხვა არაბულმა ქვეყნების მოსახლეობამ მალევე გაიგეს ამ ფაქტის შესახებ და მათაც გადაწყვიტეს მსგავსად თუნისისა, მათაც მოეცილებინათ არასასურველი მმართველი სახელმწიფო ხელისუფლების სათავიდან, იგულისხმება ავტოკრატი მმართველები. მსგავსი სურვილი გაჩნდა იორდანიაში, იემენში, ომანში, ბაჰრეინში, ეგვიპტეში, შემდეგ კი სირიაში და ჩრდილოეთ აფრიკის არბულ ქვეყნებში. “არაბული გაზაფხულის” თავდაპირველი წარმატებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა შიდა პრობლემები, რომლებიც ქვეყანაში არსებობდა. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუნისის გარდა, რეალური შედეგი არსად გვაძლევს “არაბული გაზაფხულის” წარმატებაზე საუბრის უფლებას. ამის მაგალითია ეგვიპტეში, სირიასა და იემენში განვითარებული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში დემოკრატიულად აირჩიეს ისლამური პარტია „მუსლიმთა საძმო“, ეგვიპტეში მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იემენში კი ქვეყნის პრეზიდენტმა, ალი აბდალაჰ სალეჰმა დაანონსა გადადგომა. თუმცა ამ დაპირების შესრულება გააჭიანურა, სანამ ამას არ მოჰყვა სამოქალაქო ომი.

ეხლა გადავალთ სირიიზე, რომელიც ჩვენი თემის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევაში საინტერესოდაა წარმოდგენილი. რადგანაც სწორედ

სირიის კონფლიქტში მოხდა ურთიერთობის გამწვავება ბოლო პერიოდში ისრაელ ირანს შორის.

სირიაში ხელისუფლების შეცვლის მცდელობას მოჰყვა სამოქალაქო ომი, რომელიც დაახლოებით 8 წელია გრძელდება. მოვლენების განვითარება ასე დაიწყო 2011 წლის მარტის სირიის სამოქალაქო ომის დაწყებიდან ,ირანს არ შეუცვლია დამოკიდებულება სირიის შიიტი მმართველი რეჟიმისადმი. პირიქით ის აქტიურადაა ჩართული ამ რეჟიმის დაცვისათვის. ირანი მიიჩნევა სირიის სახელმწიფოს მთლიანობის ერთ-ერთ დამცველად, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საზღვრის უსაფრთხოებისთვის და რეგიონში ირანის გავლენის გასაძლიერებლად. ეს ყოველივე კი გულისხმობდა ამ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის არსებობას. მაშინ, როდესაც დაიწყო კონფლიქტი „ყველა ყველას წინააღმდეგ“, მასში ჩართულები იყვნენ ასადის რეჟიმი და მისი მომხრეები (რუსეთი, ირანი და „ჰეზბოლა“). სწორედ მათი დახმარებით არის აქამდე სახელმწიფო ხელისუფლება მყარად ფეხზე. ირანის მხარდაჭერას სიირისათვის განაპირობბედა ის, რომ რეგიონში აშშ და ისრაელი იყვნენ საკმაოდ ძლიერად წარმოდგენილნი და ამიტომ სირია და ირანი პოტენციურ მოკავშირეებს წარმოადგენდნენ საერთო მიზნის მისაღწევად. ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში სირიელებმა დააბალანსეს თავისი ძალაუფლება სხვადასხვა მოკავშირე მხარეესთან და შედეგად დასავლეთთან დაძაბულობა შეამცირეს. ალიანსი სირიის რეჟიმსა და ირანის ხელმძღვანელობას შორის, დამაბნეველია. პირველი არის არაბული, შიიტურ-ალავიტური და სეკულარული, ხოლო ირანი ისლამური, შიიტური და ღრმად რელიგიური ქვეყანა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ ირანმა მხარი დაუჭირა სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ-ასადს 2011 წლის მარტის პირველი სამოქალაქო აჯანყებისას, რომელიც ირანულმა რეჟიმმა განსაზღვრა, როგორც ”უცხოთაგან შთაგონებული” აქტივობა. როდესაც სირიის ლიდერმა მის მომიტინგეებს ბომბებითა და ტყვიით დაუპირისპირდა, ირანელ ჩინოვნიკებს შორის წარმოიშვა აშკარა უსიამოვნება, ისინი თვლიდნენ, რომ ირანის რევოლუციის იდეალები შეირყა. ამის მიზეზი კი იყო ის, რომ ირანს სტრატეგიულ მოკავშირედ ყავდა ქვეყანა, რომლის

სტრატეგიული მნიშვნელობა ირანისთვის განიხილებოდა, როგორც საუკეთესო შემთხვევაში, ამბივალენტური და უარეს შემთხვევაში, საზიანო.[27]

3.3. ისრაელის ინტერესები ირანისათვის დაწესებული სანქციებისადმი

მოკლედ განვიხილოთ სანქციები რომელიც დაუწესეს ირანს. მათ შორის აღსანიშნავია 1996 წლის ირანსა და ლიბიაზე დაწესებული სანქციები, იგი დამტიცებულ იქნა აგვისტოში პრეზიდენტი ბილ კლინტონის დროს. კონკრეტული აქტი მიზნად ისახავს ინვესტირებას ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში. 2006 წელს სანქციები ლიბანის წინააღმდეგ გაუქმდა და შესაბამისად აქტს სახელად დაერქვა ირანის სანქციების აქტი. კონკრეტული აქტი მოითხოვს, რომ ყველა კომპანაის დაეკისროს სანქცია, რომელთა ინვესტირება სანავთობო სექტორში შეადგებს 20 მილიონ დოლარზე მეტს. კომპანიები, რომლებიც არღვევენ აქტს არიან სანქციების შემადგენელი სუბიექტები. თავდაპირველად პრეზიდენტს მოსთხოვეს, რომ ექვსი შესაძლო სანქციისგან ორი დაეკისრებინათ. ცვლილებების შემდეგ, ISA სანქციებს ითვალისწინებს 32 სანქციას ირანის წინააღმდეგ. კანონი ითხოვს ირანის ყველაზე მნიშვნელოვან სექტორში ინვესტიციების შეზღუდვას. თუმცა ამას ირანი უარყოფს, რადგან ირანს სურს რომ შეინარჩუნოს ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური სარაკეტო იარაღის პროგრამები.

2000 წლის მარტში ირანს კვლავ დაუწესდა სანქციები (შემდგომში ირანის გარდა ეს სანქციები დაუწესდა ჩრდილოეთ კორეასა და სირიას). პრეზიდენტ ბილ კლინტონის დროს გაფორმდა იგი და ცნობილია როგორც, Iran Nonproliferation Act of 2000. აქტი სანქციებს აკისრებს იმ პირებს, რომლებიც ახდენენ მომსახურებითა და საქონლით უზრუნველყოფას ირანში და დაკავშირებული არიან ბირთვულ, ბიოლოგიურ, ქიმიურ ან ბალისტიკურ სისტემებთან. სანქციები მოიცავს: იმპორტის აკრძალვას, ასევე გულისხმობს იარაღის ექპორტის აკრძალვას და უარყოფს ორმაგი დანიშნულების საქონლიც

[27]Aniseh Bassiri Tabrizi and Raffaello Pantucci –" Understanding Iran's Role in the Syrian Conflict -Royal United Services Institute for Defence and Security Studies", August (2016) Pp. 55-65

ლიცენზიას. ამ აქტს მხოლოდ 2005 და 2006 წლებში შეუერთეს ჩრდილოეთ კორეა და სირია.[28]

2006 წლის სექტემბერში ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს ირანს დაუწესდა შემდეგი სანქციების ციკლი 2006 წლის აქტით კიდევ უფრო გაფართოვდა ირანზე დაწესებული სანქციები და ამ შემთხვევაში ყურადღება იყო გაამხვილებული იმაზე , რომ სანქცია დაეკისრებოდა იმ პირებსაც, რომლებიც დაეხმარნენ ირანს ქიმიური, ბიოლოგიური, ან ბირთვული იარაღის წარმოებაში.

შემდეგ უკვე 2010 წელს ივლისში , უკვე ბარაკ ობამას მმართველობის დროს დააკისრეს სანქციები ირანს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ირანის ყოვლისმომცველი სანქციები, ანგარიშვალდებულება და გადასახადის აქტი (Comprehemsive Iran Sanction, Accountability and Diverstment Act) ეს აქტი მნიშვნელოვნად აფართოებს აშშ-ს სანქციების მასშტაბებს ირანის წინააღმდეგ ენერგეტიკისა და ფინანსების სექტორში. ამ კონკრეტული აქტით ცვლილებები შევიდა ძველ „ირანის სანქციების აქტში“ და გულისხმობდა იმას, რომ სანქცია დაეკისრება იმ კომპანიებს, რომლებიც ირანში ყიდიან 1 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ბენზინს , ყიდიან ირანულ აღჭურვილობას ან ტექნოლოგიას ირანის დასახმარებლად ბენზინის იმპორტში. სანქცია დაეკისრება იმათ, ვინც არიან ასეთ პროექტებთან დაკავშირებული ანაზღაურებისა და დაზღვევის უზრუნველყოფის სფეროში. იგი ასევე ხაზინის დეპარტამენტს აძლევს უცხოური საფინანსო ინსტიტუტის წვდომის ბლოკირების შესაძლებლობას. აშშ–ს ფინანსური სისტემა კორესპონდენციური ანგარიშების საშუალებით ავლენს ყველა ირანის მიერ განხორციელებულ უკანონო გარიგებას.[29]

2011 წლის დეკემბრის აქტი არის ბარაკ ობამას მიერ დამტკიცებული და იგი აწესებს სანქციებს უცხოური ბანკების მიმართ, რომლებიც თანამშრომლობენ

[28] Schiff, Ze'ev-"Iran's road to nuclear arms.Haaretz", February 23, (2003) P. 89

[29] Brzezinski, Zbigniew."from hope to audacity: Appraising Obama's foreign policy Foreign Affairs", January/February (2010) Pp. 102-103

ირანულ ცენტრალურ ბანკთან. მაგრამ ეს არ ხდება მაშინ როდესაც ამაზე თანხმობას თვითონ სხვა ქვეყნის პრეზიდენტი განაცხადებს.[30]

2012 წელს ამოქმედდებოდა კიდევ დამატებით სანქციები იმ ფირმების წინააღმდეგ, რომლებიც უზრუნველყოფენ ირანს საქონელითა თუ მომსახურებით. იგივე ბედი ელოდა იმ კომპანიებსაც, რომლებმაც შეიძლება წვლილი შეიტანონ ირანის ნავთობის სექტორის შენარჩუნებასა თუ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, აქტი სანქციებს აკისრებს პირებს, რომლებიც ფლობენ გემს, რომელიც გამოიყენებოდა ირანული ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებაში.

„ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა“ მიიღეს 2015 წელს, მაგრამ მოლაპარაკებები ამ საკითხზე ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო. იმ პერიოდში ირანი დასავლურმა სახელმწიფოებმა დაადანაშაულეს სამხედრო ბირთვული პროგრამის შექმნაში. შეთანხმებას ხელს აწერს ერთი მხრივ ირანი, მეორე მხრივ - აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი. სანქციების მოხსნის მაგივრად თეირანი უნდა დათანხმებულიყო ბირთვული პროგრამის შეზღუდვაზე . ირანს უნდა გაეტანა ქვეყნიდან ურანის 98%-ს. გარდა ამისა მას აუცილებლად უნდა შეამცირებინა ურანის გამდიდრებისათვის ცენტრიფუგების რაოდენობა. გარიგების სანაცვლოდ, აშშ-მა გაეროს უშიშროების საბჭომ, და ევროკავშირმა ირანს სანქციები ნაწილობრივ მოუხსნეს. ასევე ირანის გაყინულ აქტივებს უცხოეთში სანქციები მოეხსნა , მათ მიეცათ ნავთობის გაყიდვისა და გლობალური ფინანსური სისტემის გამოყენების საშუალება.

ამავე წელს ირანს სანქციები შეუმცირეს, რადგან მოხდა მოლაპარაკებების წარამრთვა ერთის მხრივ ირანსა და მეორე მხრივ დიდ ექვსეულს შორის. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სანქციების შემსუბუქების წინააღდეგ გამოდიოდა ისრაელი. როგორც ისრალის მხარე აცხადებდა ეს იყო ყველაზე ცუდი შეთანხმება, რომლითაც ირანს მიეცემოდა საშუალება, რომ შეექმნა ბირთვული

[30] Katzman, Kenneth. “Iran Sanctions.” Congressional Research Service- (2020) Pp. 10-13

იარაღის პროგრამა და შემდეგ ის გამოეყენებინა საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამიტომ იგი მოუწოდებდა ექვსივე ქვეყანას რომ აღნიშნული შეთანხმება არ მიეღოთ და დაემტკიცებინათ. გარდა ამისა ებრაული ლობის მუშაობაც უნდა ავღნიშნოთ, რომელიც ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა მისი მუშაობით.თუმცა, აშშ-ში ებრაული ლობის აქტიურობის მიუხედავად აღნიშნული შეთანხმება მაინც შედგა.

დონალდ ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიისას აკრიტიკებდა ირანთან გაფორმებულ ბირთვულ შეთანხმებას .იგი ირანის საწინააღმდეგოდ რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნების მობილიზებას ჰპირდებოდა. ამგვარი დამოკიდებულება პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც გაგრძელდა, როდესაც მან ირანი შეთანხმების არასრულფასოვნად შესრულებაში დაადანაშაულა.

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კი თავისი ინაუგურაციის დროიდანვე (2017 წ. იანვარი) სკეპტიკურად იყო განწყობილი ირანისათვის სანქციების მოხსნის მიმართ და 2018 წლის მაისში აღადგინა ისინი. იგი არჩევნებამდე ხშირდა საუბრობდა ბირთვული პროგრამის შედეგად გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე. გარდა ამისა ის აღნიშნავდა რომ შეძლებისთანავე აუცილებლად გააუქმებდა ბირთვულ შეთანხმებას რომელიც ასეთი საშიში იყო პირველ რიგში უსაფრთხოების უზრუნველყოოგისათვის. გარდა ამისა ტრამპის ეს დამოკიდებულება განპირობებული იყო ისრაელის წახალისებით. ამაში კი მნიშვნელოვანი როლი შეიტანა ებრაულმა ლობმა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, ერთი საინტერესო ფაქტიც, რომ ტრამპის სიძე არის ებრალი და მისმა ქალიშვილმა მიიღო იუდეველობა, შესაბამისად აშშ-ში ისრალის სურვილები და მისი მოკავშირეობა აშშ-სთან კიდევ უფრო გახდა გარანტირებული.

ისრალის ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც გააგრძელებენ ირანში საქმიანობას, ვეღარ შეძლებენ ამერიკაში ინვესტირებას. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის, რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელთაც სანქციების განახლება არ სურთ, აშშ დამოუკიდებლად იმოქმედებს.

რაც შეეხება ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელიც 2017 წლის 20 იანვრიდან ჩაუდგა სათავეში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოს, ის არ მალავს თავის პროისრაელურ განწყობას. ამასთან, ცნობილია, რომ ამერიკელი ებრაელების თითქმის 70 პროცენტმა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მხარი დაუჭირა ტრამპის მეტოქეს – დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ჰილარი კლინტონს: ამერიკელი ებრაელების უმეტესობა ლიბერალური დემოკრატიის მომხრეა.[31]

დონალდ ტრამპმა 2018 წლის 8 მაისს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და აშშ-მ ირანთან გაფორმებული ერთობლივი მოქმედებათა ყოვლისმომცველი გეგმა დატოვა. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა დაიწყო ირანის მიმართ სანქციის ხელახლა დაწესება, რომელიც JCPoA- ს (Joint Comprehensive Plan of Action) ძალაში შესვლის შემდგომ იქნა გაუქმებული.

რაც შეეხება ამ სანქციების ამოქმედებას, სანქციების ნაწილი 2018 წლის 7 აგვისტოს შევიდა ძალაში, დარჩენილი კი 2018 წლის 5 ნოემბერს ამოქმედდა. ისინი ვრცელდება ასევე იმ კომპანიებზე და ქვეყნებზეც, რომლებიც ირანთან ვაჭრობენ.

ზემოხსენებული სანქციების სათავეში დგას ირანის პორტების ოპერატორები, გადაზიდვების და გემთმშენებელი სექტორები. სანქციები ირანის ისლამური რესპუბლიკის გემით გადაზიდვის ხაზებს და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს მოიცავს.იგი ეხება იმ უცხოური საფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც ირანის ცენტრალურ ბანკთან და ირანის ზოგიერთ ფინანსურ ორგანიზაციასთან აწარმოებდნენ საქმიანობას.

როდესას აშშ-მ დატოვა ბირთვული შეთანხმება 2018 წელს, ამ მოვლენას ყველაზე დიდი კმაყოფილებით შეხვდა ისრაელი. ირაელის პრემიერ მინისტრმა განაცხადა ის, რომ ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელისშემშლელი

[31] გაჩეჩილაძე რ.” ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია”, (2019) გვ. 115-117

ფაქტორი, იმისთვის რომ ირანმა არ განახორციელოს ბირთვული პროგრამა და არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

აშშ-ს ახალ სანქციებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელთა შორისაა ის ხუთი ქვეყანა, რომლებმაც მოაწერეს ხელი 2015 წელს ირანის სანქციების გაუქმებას. ესენია დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი. თავის მხრივ კი ის ევროპული სახემწიფოები, რომლებიც საუბრობდნენ ირანის სანქციების გაუქმებაზე ამტკიცებენ იმას, რომ აუცილებელია შეთანხმების არსებობა, რათა ხელი შეეშალოს ირანის მიერ ბირთვული პროგრამის შემუშავებას და შესაბამისად ბირთვული პროგრამის გამოყენებას.მათ არ სურს, რომ ირანულმა მხარემ მოახდინოს არსებული ბირთვული პროგრამის კიდევ უფრო გაფართოება. ამიტომ ეს სახელმწიფოები ცდილობენ რომ აშშ-მ არ თქვას უარი შეთანხმებაზე და ფიქრობენ რომ სწორედ შეთანხმების საფუძველზე იქნება შესაძლებელი ირანის ქმედებების გაკონტროლება. ბენიამინ ნეთანიაჰუ კი ამბობს რმო პირიქით სხვა ქვეყნებმაც კიდევ უფრო უნდა გაუმკაცროს ირანს სანქციები რომ მან საბოლოდ უარი თქვას ურანუს გამდიდრებაზე. ბოლოს კი დამტკიცდა რომ ირანმა შეთანხმებაში ჩადებული პირობის მიუხედავად გააძლიერა ურანის გამდიდრება და ის დაახლოებით რვაჯერ გაზარდა. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ როდესაც აშშ-მ დატოვა შეთანხმება 2018 წელს, მას მალე ირანიც გამოეთიშა და ჰასან როუჰანმა განაცხადა, რომ ირანი კვლავ გააგღზელებს ირანის გამდიდრებას.

ირანელი მოსახლეობა, თავიდანვე ორ ნაწილად იყო გაყოფილი ქვეყნის ბირთვული აქტივობების შეფასებისას. ირანელთა დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ატომური და ქიმიური იარაღის არსებობა ქვეყნის პოზიციებს და ამავდროულად შესაძლებლობებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს გახდიდა. გაიზრდებოდა მისი როლი არამარტო რეგიონულ არამედ კიდევ უფრო გლობალურ სარბიელზე.

სხვა სახელმწიფოებს არ ექნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ირანისათვის მარტივად ,,ხელი წამოეკრა". იმის მიუხედავად, რომ ირანისათვის ყველაზე საშიშ მტერს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა თავიდანვე ცხადი

იყო, რომ ირანის ბირთვული რიტორიკის შეფარული მუქარის ადრესატი არაიმდენად ამერიკის შეერთებული შტატები იყო, რამდენადაც ისრაელი, რომლის შეშფოთებასაც ირანულ გეგმებთან დაკავშირებით სავსებით რეალური საფუძველი ჰქონდა.

მაშინ როდესაც ირანი უარყოფდა ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას ისრაელი ამას ეწინააღმდეგებოდა. ირაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ, რომელიც არის ირანთან მიღწეული ბირთვული შეთანხმების წინააღმდეგი განაცხადა, რომ ბირთვულ იარაღზე მუშაობა თეირანმა დამალა. თუმცა ისრაელი ამტკიცებდა რომ ჯერ კიდევ გარიგების გაფორმების დროს ირანი მუშაობდა ბირთულ იარაღზე. პრემიერ-მინისტრის თქმით, ისრაელის დაზვერვამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მოიპოვა.

ირანს ყველა სანქცია დაუწესეს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. მათი ინიციტორია აშშ, თუმცა მისი მოკავშირე არის ისრაელი და შესაბამისად ყველა სანქციის დაწესების ფაქტი შედიოდა ისრალის ინტერესებში. ირანის ბირთვული პროგრამის განვითარებაში ხედავს დიდ პრობლემას, რადგან ისრალი თვლის , რომ შექმნილ პროგრამას ირანი პირველ რიგში გამოიყენებს ისრაელის წინააღმდეგ. ირანის ყველა ქმედება სამხედრო თვალსაზრისით განიხილება როგორც ანტიისრაეული, ანტისიონისტური.

დასკვნა

ისრალისა და ირანის ურთიერთობა საკმაოდ საინტერესო ჭრილში განვითარდა ისრაელის ისტორიის ადრეულ ეტაპზე. იმ დროს, როცა ებრაელებს ავიწროებდნენ და დევნიდნენ, ირანი ამ ებრაელ ხალხს იფარებდა და ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის, რათა გადარჩენილიყვნენ და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ. ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენაში, რისთვისაც ისინი საუკუნეების განმავლობაში ისწრაფვოდნენ, დიდი როლი შეასრულა სიონიზმმა, როგორცმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ. სიონიზმის მეშვეოით მოხდა ებრაელი ხალხის საუკუნეობრივი სურვილის დაჩქარება, რის შედეგადაც მალევე მოხდა ისრალის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ისრალის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება საკმაოდ რთული და ხანგძლივი პროცესი იყო, ამ სირთულეებს კიდევ უფრო აძლიერებდა პალესტინის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ამ სახელმწიფოს საზღვრების მონიშვნა. აღნიშნული საკითხი ვერ გადაწყვიტა დიდმა ბრიტანეთმა, რომელსაც ერთგვარი შემაფერხებელი როლის შესრულებაც მოუხდა ისრალის სახელმწიფოს ჩოყალიბებაში. საბოლოო ჯამში, პრობლემა გაერომ გადაჭრა.

ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან, მას საკმაოდ რთული და პრობლემატური ურთიერთობები ჰქონდა მეზობელ არაბულ მუსლიმურ ქვეყნებთან. რეგიონში ერთ-ერთი პირველი მუსლიმური ამავდროს სეკურალური ქვეყანა, რომელმაც ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა და შესაბამისად ცნო აღნიშნული სახელმწიფო, იყო ირანი. ებრაელი დიპლომატები იმ პერიოდი ირანში დიდი უპირატესობითა და გავლენით სარგებლობდნენ, ისეთივეთი, როგორიც აშშ-ს დიპლომატები. უფრო მეტიც ისრალი და ირანი სამხედრო სფეროშიც საკმაოდ წარმატებულად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მათ ერთობლივად რაკეტების შექმნაც კი ჰქონდათ განძრახული. მაგრამ სიტუაცია მალე მკვეთრად და ამავდროულად რადილაკურად შეიცვალა.

ისრაელს საკმაოდ სერიოზული ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა, რომელიც დღესაც გრძელდება პალესტინასთან. ამ უკანასკნელს არაბული სამყარო ედგა გვერდით. არაბული ქვეყნები ისრაელს ედავებოდნენ მუსლიმთა წმნდა მიწას, სადაც ასევე იუდეველთა სიწმინდებიცაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ირანი მუსლიმური ქვეყნაა ის ამ კონფლიქტში დანარჩენ მუსლიმურ ქვეყნებს მხარს არ უჭერდა და პირიქით ისრაელთან საკმაოდ მჭიდრო დიპლომატიური და სამხედრო ურთიერთობებიც ქონდა ისლამურ რევოლუციამდე. მაგრამ ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანიც ისრაელისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნების რიცხვს მიემატა.

ისრაესლა და ირანს შორის ურთიერთობა მკვეთრად ანტაგონისტური გახდა მას შემდეგ , რაც ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია და ქვეყნის სათავეში შიიტი სამღვდელოება მოვიდა. ირანის ახალმა რეჟიმმა აშშ-სთან ერთად ისრაელიც ირანის მტრად ჩათვალა და მათ „დიდი და პატარა სატანა“ უწიდა. აქიდან მოყოლებული, ირანი რეგიონში არსებულ ანტისიონისტური სახელმწიფოების რიგს მიემატა და ამ ორი ქვეყნის ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ისრაელსა და ირანს შორის ისლამურმა რევოლუციამ გაწყვიტა პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები, რომელიც დღემდე არ აღმდგარა, მიუხედავად ირანის მკვეთრი ანტისიონისტური დამოკიდებულებიდა, რომელიც ისლამური რევოლუციის შედეგია. ამ ორმა ქვეყანამ ირან - ერაყის ომის დროს მაინც შეძლო საერთო საფრთხის წინააღმდეგ კოორდინირებული მოქნედება. ერაყი რომელიც ომს აწარმოებდა ირანთან თავის იმდროინდელ მართველთან ერთად იყო ირანის დაუძინებელი მტერი . ერაყი ასევე ანტისიმპატიით გამოირჩეოდა ისრალის მიმართაც. ეს საკმარისი აღმოჩნდა უკვე მოწინააღმდეგე ბანაკებში გადაბარგებული ისრაელისა და ირანითვის ემოქმედათ კოორდინირებულად ჰუსეინის წინააღდეგ. რა თქმა უნდა აღნიშნული ერთობლივი პოზიცია და ქმედება ამ საკითხისადმი იყო ფარული.

ისრაელისა და ირანის დაპირისპიერება აშკარად, საომარ მოქმედებებში მკვეთრად გამოჩნდა ლიბანში, სადაც ორივე ეს ქვეყანა აქტიურად ჩაერთვნენ ამ ქვეყნის სამოქალაქო ომში, რომელიც ერთმანეთთან დასაპირისპირებლად გამოიყენეს. ირანმა ლიბანში გაიჩინა თავისი საკმაოდ მყარი დასაყრდნობი „ჰეზბოლას“ სახით, რომელიც ირანის მსგავსად მკვეთრად ანტისიონისტური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა. ლიბანი ამ ორი ქვეყნის დაპირისპირების პოლიგონს აქამდე წარმოადგენს.

ისრაელი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც გამოკვეთილად უჭერს მხარს ირანისათვის მკაცრი სანქციების დაწესებას სხვადასხვა სფეროში. რათა მას არ მიეცეს საშუალება ბირთვულ პროგრამაზე მუშაობისა. რომელიც ისრაელში პირველ რიგში მის წინააღმდეგ აღიქმება. აქედან გამომდინარე, ისრაელი უარყოფითად უყურებდა ირანისათვის რამოდენიმე წლის უკან სანქციების შემსუბუქებას . ის ამ შეთანხმებას საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა და ხელმწომწერი მხარეების მხრიდან დიდ შეცდომად თვლიდა. ისრაელი ერთ-ერთი პირველი ქვეყანათაგანი იყო, რომელიც მიესალმა ირანისათვის აშშ-ს მხრიდან ამ შეთანხმების დატოვებას და მისთვის კვლავ სანქციების დაწერებას. უფრო მეტიც, ისრაელის მხარე აკეთებს განცხადებას, რომ სანქციები ირანის წინააღმდეგ კიდევ უნდა გამკაცრდეს, რათა აიძულონ ირანი საბოლოოდ უარი თქვას ბირთვულ შეთანხმებაზე.

საკვლევ კითხვაზე პასუხს რაც შეეხება, ისრაელსა და ირანს შორის კონფლიქტების მოწყვლადობას განაპირობებს მათი შეუცვლელი პოზიციები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, რაც კვლავ დაუსრულებელ კონფლიქტს წარმოშობს მათ შორის. გარდა ამისა გარე ფაქტორების ჩართულობაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ შორის ურთიერთობას, განსაკუთრებით ისეთი ძლიერი მხარის , როგორიც არის აშშ. შესაძლოა ითქვას, რომ ირანთან ისრაელის პოზიციას მთლიანად განსაზღვრავს ისრალის უპირობო მოკავშირე აშშ, რომელიც სხვადასხვა საშუალებებით ებრძვის ირანს და მის მკაცრ პოლიტიკას. ამის დასტურია თუნდაც ბირთვული პროგრამა და მასთან დაკავირებული მიმდინარე მოვლენები.

პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში ისრაელსა და ირანს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა , რასაც ამტკიცებს ისლამური რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მოსული აიათოლა ხომეინის ანტისიონისტური დამოკიდებულება. ასევე მდგომარეობას ართულებს ისრაელის აშშ-სთან ახლო ურთიერთობაც. ბირთვული პროგრამა და „იერუსალიმის საკითხი არის ის უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი, რომლებიც წარმოქნმნის მათ შორის დაპირისპირებას. იქიდან გამომდიანრე, რომ ირანისთვის იერუსალიმი არის წმინდა მიწა, იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ცნობა წარმოადგენს ირანისთვის მიუღებელ საკითხს.

ვეთანხმები ჰიპოთეზას და ვფიქრობ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ისრაელსა და ირანს შორის წინააღმდეგობისა და პოზიციების განსხავებულებისა, ბოლო პერიოდში მათ ერთნაირი მიდგომა აქვთ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახალიფოსთან“ მიმართებაში. ორივე მათგანი ამ ორგანიზაცის დაუძინებელ მტრად აღიქვამს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ რეგიონში ჩნდება კიდევ ერთი ეკონომიკურად ძლიერი სუბიექტი, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო რეგიონის უსაფრთხოებას, არამედ იგი წარმოუდგენიათ რეგიონში ჰეგემენობისათვის ბრძოლაში წარმოდგენილ ერთ-ერთ დაბრკოლებად. სირიასა და ერაყში წარმოდგენილ „ისლამურ სახალიფოს“ ებრძვის ირანიც და ისრაელიც. სწორედ ამიტომაა რომ ნელ ნელა შესუსტდა მისი გავლენა ორგანიზაციის გავლენა რეგიონში. გარდა ამისა, ხაზი იმასაც უნდა გავუსვათ, რომ ისრაელსა და ირანს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობის მოგვარება არის ძალიან რთული. არსებულ მდგომარეობას ართულებს სწორედ ის სანქციები, რომელიც ირანის მიმართ არის დაწესებული აშშ-ს მხრიდან და მხარდაჭერილი ისრაელისგან. მკაფიოა ისრაელისა და აშშ-ს დამოკიდებულება ირანის სანქციებისადმი და აქიდან გამომდინარე ბირთვული პროგრამისადმი.

ძალთა ბალანსის თეორია- მიმოხილულია ისრაელისა და ირანის მაგალითზე, რომელთა ინტერესები მდგომარეობს წარმოაჩინონ საკუთარი პოზიციები ახლო

აღმოსავლეთის რეგიონში და გაზარდონ გავლენა სხვადასხვა სფეროებში, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური.

ჰეგემონიზმის სტაბილურობის თეორია - სწორედ აღნიშნული თეორიის პრინციპები გვეხამარება ავხსნათ ის დაპირისპირება, რომელიც მიმდინარეობს რეგიონში ისრაელსა და ირანს შორის. მისი გამოყენებით შეგვიძლია შევაფასოთ რეგიონში მიმდინარე მოვლენები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავამტკიცოთ აღნიშნული თეორიის მართებულობა კონკრეტულად ამ რეგიონში.

დემოკრატიული მშვიდობის თეორია- როგორც ვიცით გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოები არ უნდა ომობდნენ. ისრაელსა და ირანს შორის განვითარებული ურთიერთობა კი პირიქით უკიდურესად მძიმეა და საშიშროების შემცველია არა მარტო რეგიონისთვის არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემისათვის, იმის საფუძველზე რომ ისინი არ ერდიებიან ერთმანეთზე სარაკეტო თავდასხმების განხორციელებასაც.

უსაფრთხოების დილემა-თეორია გამოყენებილია ისრაელის მიერ კონკრეტული სამხედრო ქმედებების გასაანალიზებლად. როგორც ვიცით უსაფრთხოების დილემა გულისხმობს იმას, რომ თავდაცვითი პოლიტიკა სხვა ქვეყნის თვალში შესაძლოა აგრესიისათვის მზადებად აღიქმებოდეს, ამ ყოელივეს შემდეგ კი მეორე ქვეყანა გადადის მოქმედებაზე. ირანის რთული პოლიტიკა და არაპროგნოზირებადი ქმედებები ისრაელს აიძულებს რომ კიდევ გადახედოს თავის უსაფრთხოების სისტემას და შეიმუშავოს შესაბამისი პოლიტიკა ირანის შესაძლო თავდასხმების ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩლაძე რ. ,,ახლო აღმოსავლეთი პოლიტიკური გეოგრაფია“, თბილისი,(2019)
2. მენთეშაშვილი ზ. “ახლო და შუა აღმოსავლეთი ისტორია და თანამედროვეობა”. თბილისის უნიერსიტეტის გამომცემლობა (2003)
3. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“. თბილისი, (2011).
4. სანიკიძე, გ , ალასანია, გ. გელოვანი, ნ .” ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან“ თბილისი (2011)
5. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონგერენციის შრომები-მაია კაპანაძე-აიათოლა ხომეინის პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი (2015)
6. ხ. ჰერცოგი, „ისრაელ-არაბების ომები,“ თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი-(2007)
7. Aniseh Bassiri Tabrizi and Raffaello Pantucci – „Understanding Iran’s Role in the Syrian Conflict „-Royal United Services Institute for Defence and Security Studies, August (2016)
8. BENGIO O. „Do Iranian Clerics Dream of Eliminating Israel?“ September 24, (2015)
9. Borovoy,Yacov ,Nina Mamedova & Mikhail Nosov. „Iran and its neighbours“.Moscow foundation-East-westers bridges-(2003)
10. Bregman, A. „ Israel’s Wars, 1947-1993“. London and New York: Routledge. (2000)
11. Brom, Shlomo & Yiftah Shapir (eds) .“The Middle East Military Balance 2001-2002 „Jaffee Center for Strategic Studies, Tel Aviv University.Cambridge ,Mass & London” The MIT press, (2002).
12. Brzezinski, Zbigniew.“from hope to audacity: Appraising Obama’s foreign policy Foreign Affairs“, January/February (2010)
13. Carey, Roane. „The New Intifada: Resisting Israel's Apartheid“. New York: Verso ed. (2001)
14. Chertolf, MJOrdechai S. „Zionism: a Basic Reader“, New York: Herzl Press, (1975)
15. Cleveland, W.L.“ A History of the Modern Middle East“ 3rd ed. Boulde: Westview Press (2004,2009).
16. Evron, B. „Jewish state or Israeli Nation? Bloominghton and Indianapolis“: Indiana University Press (1995).

17. Felton, J. „The Contemporary Middle East: a Documentary History“. New York: SQ Press. (2008)

18. Jones, Clive.Ideo- „theology and the Jawish state: from conflict to conciliation?“ BJMES , Vol 26№ 1 (1999).

19. Katzman, Kenneth. “Iran Sanctions.” Congressional Research Service- (2020)

20. Katzman,Kenneth. „Iran’s foreign and defense policies“.congressional Research Service R44017 .(2018)

21. Kristian Coates Ulrichsen ,“ ISRAEL AND THE ARAB GULF STATES: DRIVERS AND DIRECTIONS OF CHANGE“, Ph.D. Fellow for the Middle East September (2016)

22. Morris, Benny. „Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-1999“. New-York:Alfred Knopf, (1999)

23. Morris, Benny. „The Road to Jerusalem: Glub Pash, Palestine and Jaws“.London I.B Tauris, (2002)

24. Romann.Michael.“Beyod territory: on conflicting narratives of the Israel-Palestinina conflict“.Tel Aviv University News.Winter (2002-2003)

25. Sachar, Howard M.A „History of Israel from the rize of Zionism to our time.“ 3 ed New York Alfred A.knopf (2007).

26. Scaini, Mauruzio. „The Jerusalem issue in international politics“.Geographica Slovesica vol 34 №1 (2001)

27. Schiff, Ze’ev-„Iran’s road to nuclear arms“.Haaretz, February 23, (2003)

28. Segev, Tom.“One Palestine,Complete : Jews and Arabs under the British Mandate“.New York :Henry holt and Company, (2000)

29. Shlaim , Avi the Iron wal : „Israel and Arab World“, New York London W.W. Norton and co (2000).

30. Tuchman, B.W. „Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour“. New York: Ballantine Bokks. (1984)

31. Werblowski, R. J. Zwi .“The Meaning of Jerusalem to Jews , Christians and Muslims.Jerusalim „: Ahva press, (1995)

32. Wilson, Mary. „King Abdullah, Britain and the Making of Jordan“. Cambridge: Cambridge University Press, (1987)

ინტერნეტრესურსები:

33. „ჰამასი - ისტორია, აწმყო და სამომავლო პერსპექტივები“-საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) , თბილისი (2020)

http://gcsd.org.ge/storage/files/doc/BOOK%205%20%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%20-

%20%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90,%20%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.06.2020)

34. „ British Palestine Mandate: History & Overview (1922 - 1948)“
https://www.jewishvirtuallibrary.org/history-and-overview-of-the-british-palestine-mandate
(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.06.2020)

35. „Mandate for Palestine” The Legal Aspects of Jewish Rights -Eli E. Hertz“
https://www.mythsandfacts.org/conflict/mandate_for_palestine/mandate_for_palestine.htm
(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.06.2020)

36. „The Partitioning of Palestine“-
https://courses.lumenlearning.com/suny-hccc-worldhistory2/chapter/the-partitioning-of-palestine/
(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.06.2020)